პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 37 (11951) | კვირა, 12 თებერვალი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოების ქვეყნის მოძმე ხალხთა შორის, რომლებიც შეკავშირებული არიან ურღვევი მეგობრობით, ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ხალხებს ღირსეული ადგილი უჭირავთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

ხალხთა მჯკიცე და ურღვევი მეგობრობა ჩვენი ძალაა, კომუნიზმის მომავალ გამარჯვებათა საწინდარია

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1961 წლის 7 თებერვალს ქალაქ თბილისში

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ყველა მშრომელს მხურვალე სალამი და გისურვოთ ახალი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა შევხვდე ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს და მონაწილეობა მივიღო პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ჩვენი საერთო ამოცანების განხილვაში.

ახლა მთელი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი განიხილავენ პლენუმის დოკუმენტებს და ადგილობრივ პირობათა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით ამუშავებენ კონკრეტულ ღონისძიებებს თვითეული რესპუბლიკისათვის, ოლქისა და თვითეულ რაიონისათვის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებას.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელება საყოველთაო-სახალხო საქმეა. სოფლის მეურნეობის მშრომელები ახლა კისრულობენ ახალ ვალდებულებებს, ხოლო მრეწველობის მუშაკები სახავენ ახალ ღონისძიებებს, რათა გაძლიერონ დახმარება სოფლის მეურნეობისადმი — იზრდება ტრაქტორების, სათესი მანქანების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სასუქების, ირიგაციისა და მელიორაციის სამუშაოთა შესასრულებელი, მეცხოველეობაში შრომის პროცესების მექანიზაციის განსახორციელებელი მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება.

როგორც იცით, ამხანაგებო, ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სოფლის მეურნეობის მუშაკთა მონაწილეობით და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. დიდი კმაყოფილების გრძნობას იწვევს ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების ღრმა შეგნება, დიდი პასუხისმგებლობა, რომლითაც უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის მუშაკები, აგრეთვე ამ თათბირის მონაწილენი უდგებოდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოვლინებას. თათბირებზე მწვავედ გააკრიტიკეს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები. სამართლიანად აღნიშნეს, რომ არ შეიძლება შეგურიგდეთ სახალხო მეურნეობის ამ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი დარგის ჩამორჩენას.

ყოველთვის, როცა ჩვენი მშენებლობის მსვლელობაში წამოიჭრება ახალი საკითხები, პარტია და მთავრობა ყოველმხრივ განიხილავენ ამ საკითხებს მუშებთან და კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან, ყურს უგდებენ მეცნიერებისა და წარმოების მოწინავე ადამიანთა ხმას, ითვალისწინებენ მათს გამოცდილებას, კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს. პარტია ეთათბირება ხალხს, ემყარება მის უმდიდრეს ცხოვრების გამოცდილებას, მის კოლექტიურ გონებას და პოულობს ისეთ გადაწყვეტას, რომელიც აჩქარებს წინსვლას, ფართო გასაქანს იძლევა ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინებისათვის.



ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი ქ. თბილისში 1961 წლის 7 თებერვალს. ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

თათბირების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია მათი საქმიანობა და კონკრეტულობა, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, თვითდამშვიდებისა და ყოყოჩობისადმი. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, ამხანაგებო, სრული რწმენით ვთქვათ, რომ უკვე მიმდინარე წელს ამიერკავკასიის, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, სოფლის მეურნეობის მშრომელები მნიშვნელოვნად გაადიდებენ მარცვლეულის, ბამბის, ხორცის, კარაქის, რძის, მატყლის, ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებას **(ტაში).**

ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი გამარჯვება

ამხანაგებო! მიმდინარე წელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი წელი იქნება. ეს შვიდწლედის მესამე წელია. ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის წელია **(ტაში).**

სკკპ XXII ყრილობა შეჯამებს პარტიის ხელმძღვანელობით დიად ლენინურ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლის შედეგებს და მიიღებს პარტიის ახალ პროგრამას — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამას. საბჭოთა კავშირმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებაში.

ჩვენ შეგვიძლია სიამაყით აღვნიშნოთ, რომ მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის თვითეული რესპუბლიკის მშრომელებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში.

საბჭოების ქვეყნის მოძმე ხალხთა შორის, რომლებიც შეკავშირებული არიან ურღვევი მეგობრობით, ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ხალხებს ღირსეული ადგილი უჭირავთ. უახლოეს ხანში საბჭოთა საქართველო და საბჭოთა სომხეთი აღნიშნავენ თავიანთ მეორმოცე წლისთავს. შარშან ასეთი სახელოვანი თარიღი აღნიშნა საბჭოთა აზერბაიჯანმა.

საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე ამიერკავკასიის ხალხებმა დიადი გარდაქმნები განახორციელეს. მეფის იმპერიის ჩამორჩენილი აგრარული განაპირა მხარეები ხალხთა ნებით და შრომით გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკებად, რომლებსაც აქვთ მაღალგანვითარებული მრეწველობა, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა. ეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პოლიტიკის დიდი გამარჯვებაა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, კარგად იცით, როგორი იყო წარსულში ამიერკავკასიის ხალხთა ბედი, უცხოელი დამმონებლები საუკუნეობით ჩაგრავდნენ, აწამებდნენ, ფიზიკურად სპობდნენ ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს, აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს. ცდილობდნენ ცეცხლითა და მახვილით დაემკვიდრებინათ თავიანთი ბატონობა, ხელთ ეგდოთ ამიერკავკასიის დიდი და იშვიათი სიმდიდრენი.

უსასტიკესი ჩაგვრის პირობებში თქვენი ხალხების საუკეთესო შვილები რუსეთის მოწინავე ადამიანების მხარდამხარ იბრძოდნენ თავიანთი ხალხების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ბრძოლაში მათ აღაფრთოვანებდა მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური იდეები, ისინი გაერთიანებული იყვნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმით.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდ დამაარსებელსა და ბელადს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ამიერკავკასიის პროლეტარიების, რევოლუციონერი მარქსისტების თვალსაჩინო დამსახურება ჩვენი პარტიის შექმნისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში. ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მათი წრიდან გამოვიდნენ შესანიშნავი რევოლუციონერები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მოახმარეს მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამიერკავკასიის რაიონებში დიდხანს ეწეოდნენ უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ჩვენი პარტიის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორც იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში),** სტეფანე შაუმიანი **(მქუხარე ტაში),** სერგო ორჯონიკიძე **(მქუხარე ტაში),** ანასტას მიქოიანი **(მქუხარე ტაში),** მუშადი აზიზბეკოვი **(მქუხარე ტაში),** პროკოფი ჯაფარიძე **(მქუხარე ტაში),** ნარიმან ნარიმანოვი **(მქუხარე ტაში),** ლადო კეცხოველი **(მქუხარე ტაში),** მიხა ცხაკაია **(მქუხარე ტაში)** და ბევრი სხვა მებრძოლი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის, სოციალიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ათეული წლების მანძილზე ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ჩვენი პარტიის ლენინური დროშის ერთგულნი იყვნენ, მტკიცედ იბრძოდნენ მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ, მუსავატელებისა და დაშნაკების მსგავსი ყოველგვარი ნაციონალისტური ჯგუფებისა და მიმდინარეობების წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის ხალხებმა მამაცობა და სიმტკიცე გამოიჩინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ დღეებში, უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, აზერბაიჯანში, საქართველოში, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლებში. ამ ბრძოლის უკვდავი გმირები სარგებლობენ ამიერკავკასიისა და მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა სიყვარულით **(ხანგრძლივი ტაში).**

გახდნენ რა თავიანთი სამშობლოს ბატონ-პატრონები, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ ახლებურად მოაწყეს სახალხო მეურნეობა უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ. პირველად სარგებლობდა მშრომელი ხალხი თავისი შრომის მთელი სიკეთით, მთელი სიმდიდრე მისი კუთვნილება გახდა.

არსებობის პირველი დღეებიდან ამიერკავკასიის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკები მხურვალე მხარდაჭერას პოულობდნენ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა რუსეთის მთავრობის, პირადად ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მხრივ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).** მათ განუწყვეტლივ უწევდნენ ძმურ დახმარებას რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ხალხები, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ორმოცი წლის წინათ —1921 წლის აპრილში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა წერილი გაუგზავნა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებს. ამ წერილში ლენინმა დასახა კავკასიის რესპუბლიკების მეურნეობის აღორძინების გზები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ელექტროფიკაციისა და მორწყვის განვითარებას, ხაზი გაუსვა მათ მნიშვნელობას სოციალისტური მშენებლობისათვის.

„მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, — წერდა ვლადიმერ ილიას ძე, — ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“. **(მქუხარე ტაში).**

ამიერკავკასიის მშრომელები საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიდიოდნენ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

ადვილი როდი იყო მსოფლიო ომით და უცხოელთა ინტერვენციით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღორძინების გზა, ცარიზმისა და უცხოეთის კაპიტალის მონობაში მყოფი ეროვნული განაპირა მხარეების საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის გზა. უცხოელი მჩაგვრელები, მტაცებელი მხეცების მსგავსად, ნაწილ-ნაწილ გლეჯდნენ ამიერკავკასიის სიმდიდრეს. ვინ იყვნენ ეს ვაჭბატონები? ბაქოს ნავთობის პატრონები იყვნენ უცხოელი მოხიბლისტები როტშილდი და ნობელი, კაპიტალისტი მანთაშევი. მჭიდრო ეკუთვნოდათ სამრეწველო საწარმოები ბათუმში. უცხოეთის მონოპოლიების მძიმე ხელი იგრძნეს არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ აგრეთვე რუსმა და უკრაინელმა მუშებმა. მე თვითონ მომიხდა მუშაობა დონბასის მაღაროებში, რომლებიც ეკუთვნოდა უცხოეთის მონოპოლიებს. თბილისში ბატონობდნენ ბელგიელები, მათ ეკუთვნოდათ ტრამვაი და ფუნიკულორიც კი.

ამიერკავკასიის მუშებმა, მშრომელმა ხალხმა' რევოლუციური რუსეთის მოძმე ხალხების დახმარებით გარეკეს თავიანთი მიწაწყლიდან უცხოელი ინტერვენტები. ექსპლოატატორებისაგან გაწმენდილ მიწაზე ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, საკუთარი შრომით აშენებენ ახალ ცხოვრებას და ამაში ჭეშმარიტად შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს. **(ტაში).**

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიცვალა რესპუბლიკების სახე. თქვენი ძველი ქალაქები განახლდნენ, გაახალგაზრდავდნენ, გაიზარდნენ, დიდი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრები გახდნენ. სოციალიზმის ეპოქაში მათ დაიწყეს მეორე სიცოცხლე, თავიანთი აყვავების ხანა. გაჩნდა ახალი სოციალისტური ქალაქები დიდი სამრეწველო საწარმოებით. შეიცვალა სოფლის მეურნეობის მშრომელთა ცხოვრება, რომლებიც კოლექტიურად მუშაობენ საზოგადოებრივ მინდვრებსა და ფერმებში, იყენებენ ახალ ტექნიკასა და მეცნიერების მიღწევებს.

თვითეულ თქვენს რესპუბლიკაში შექმნილია სამეცნიერო ცენტრები მეცნიერებათა აკადემიების მეთაურობით, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. დიდი პატივისცემით სარგებლობენ საბჭოთა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, კინოს, სახვითი ხელოვნების ოსტატები. ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და კულტურული მშენებლობისათვის სპეციალისტთა მომზადებაში.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წყობილების ყველაზე დიდი მიღწევაა ახალი ადამიანები — სოციალიზმისა და კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებლები. ისინი — ჩვენი შესანიშნავი მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა მშრომელი ინტელიგენცია ქმნიან მთელ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, ზრდიან ჩვენი ქვეყნის ძლიერებას. მათ გამოიჩინეს მშვიდობიანი მშენებლობის დღეებში და სამამულო ომის მკაცრი განსაცდელის წლებში თავდადება და სიმამაცე. **(ტაში).**

ასეთ ადამიანებს ყოველგვარი ამოცანის გადაჭრა ძალუძთ. საბჭოთა ქვეყნის ხალხები ვადამდე შეასრულებენ შვიდწლიან გეგმას და მოკლე ვადაში გადაჭრიან ამოცანას, რომელიც დიდმა ლენინმა დასახა, — დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. **(ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენ მეზობლები ხართ და, რა თქმა უნდა, კარგად იცით, როგორ მიდის საქმეები და რა წარმატებებს აღწევს თვითეული თქვენი რესპუბლიკა. მაგრამ ნება მიბოძეთ გულახდილად გითხრათ, რომ თქვენ გამოცდილების გაზიარებისა და საერთო ამოცანების ერთად განხილვისათვის არც თუ ისე ხშირად ხვდებით ერთმანეთს, თუმცა ასეთი შეხვედრები სასარგებლოა ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით.

ხმა. სწორია! **(ტაში).**

ისტორიულად ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის რაიონების ეკონომიური ერთობა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კი, როცა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა ერთიანი გეგმით ვითარდება, ყველა ჩვენი რესპუბლიკა ეხმარება ერთმანეთს და ყოველ მათგანს შეაქვს თავისი წვლილი საერთო საქმეში. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს აქვთ თავიანთი წამყვანი დარგები მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების, კონკრეტული კლიმატური პირობების შესაბამისად.

ავიღოთ, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკა. 1960 წელს საქართველოში წარმოებული იყო 40-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე 1913 წელს. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკაში აშენდა დაახლოებით 1.000 სამრეწველო საწარმო, მათ შორის ისეთი დიდი და ტექნიკურად კარგად აღჭურვილი, როგორიც არის ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა რუსთავში, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანა და სხვები. შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები: შავი მეტალურგია, ჩარხმშენებლობა, ქიმიური, საავტომობილო, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, საფეიქრო, საშენ მასალათა მრეწველობა, მთლიანად რეკონსტრუირებულია ქვების მრეწველობა.

და მრეწველობის ყველა ამ დარგმა უკანასკნელ წლებში დიდი წარმატებები მოიპოვა. მათ აქვთ თანამედროვე ტექნიკა, ჰყავთ მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიციური კადრები. ეს კადრები სახელმწიფოებრივად, ნამდვილად სახალხო დაინტერესებით უდგებიან წარმოების განვითარების საკითხებს. თბილისელ მუშათა ინიციატივით, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ მოიწონა, ერთ-ერთი ძველი სარემონტო ქარხანა ამჟამად გადაქცეულია ელმავლების წარმოების უმსხვილეს საწარმოდ. და ქართველ ამხანაგებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ თბილისში გაკეთებული ელმავლები დადიან ჩვენი დიადი ქვეყნის ბევრ ფოლადის მაგისტრალზე. **(ტაში).**

ახლა საქართველოს მეზობლების — აზერბაიჯანისა და სომხეთის შესახებ.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

აზერბაიჯანი ძველთაგანვე ცნობილია ნავთობის მრეწველობით. გაიზარდნენ, წარმოება გაადიდეს ბაქოს ძველმა სარეწებმა. ზღვაში აღიმართა ნავთობის კოშკურები. 1920 წელთან შედარებით ნავთობის მოპოვება 6-ჯერ გაიზარდა. ახლა აზერბაიჯანი არა მარტო ნავთობის რესპუბლიკაა, არამედ მაღალგანვითარებული ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის, მანქანათმშენებლობის რესპუბლიკაც, მსხვილი ენერგეტიკული ბაზაც არის. **(ტაში).**

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება აზერბაიჯანის მრეწველობის ახალი დარგები ომისშემდგომ წლებში. ამ პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურმა დაბანდებებმა შეადგინა 45 მილიარდი მანეთი (ძველი ფულით). ომისშემდგომ წლებში რესპუბლიკაში აშენდა ასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო, მათ შორის მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგური, ჩრდილოეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, სინთეზური კაუჩუკის ქარხანა, მილსაგლინავი და ალუმინის ქარხნები. წარმოიშვა ახალი ინდუსტრიული ცენტრები — სუმგაითი, მინგეჩაური და დაშქესანი.

აზერბაიჯანში სწრაფი ტემპებით ვითარდება ქიმიური მრეწველობა. აქ საბჭოთა კავშირში პირველად შეიქმნა და წარმატებით ათვისებულ იქნა ნავთობის გაზისაგან სინთეზური ეთილის სპირტის წარმოება. ყარადაღის რაიონში აღმოჩენილია ბუნებრივი გაზის უდიდესი საბადოები, რომელთა ათვისება წარმოებს.

მძლავრი მრეწველობა შეიქმნა საბჭოთა სომხეთში. აქ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა დაახლოებით 500 სამრეწველო საწარმო, მაღარო და ელექტროსადგური. საბჭოთა სომხეთში წელიწადში იმუშავებენ 2 მილიარდ 700 მილიონ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას. ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოების მხრივ სომხეთმა გაუსწრო ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიც არიან იტალია და იაპონია. **(ტაში).** სომხეთში ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებენ 15-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე თურქეთში, და 41-ჯერ მეტს, ვიდრე ირანში **(ტაში).** სომხეთში ფართოდ განვითარდა მძიმე და მსუბუქი მრეწველობის, კერძოდ, კვების მრეწველობის მრავალი დარგი.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელები ერთიან ძმურ ოჯახად ცხოვრობენ, ისინი თანამშრომლობენ, ეხმარებიან ერთმანეთს დიადი შვიდწლიანი გეგმის ამოცანების შესრულებაში. საკმაოდ სიმბოლურია ბაქო-ერევან-თბილისის დიდი გაზსადენი, რომელსაც ხალხი მეგობრობის ტრასას უწოდებს. **(ტაში).** ამიერკავკასიაში შექმნილია ერთიანი ენერგეტიკული სისტემა.

როგორც გახსოვთ, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი თავის წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ელექტროფიკაციისა და სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას. ამიერკავკასიას უმდიდრესი ენერგეტიკული ჰიდრორესურსები მოეპოვება. ახორციელებენ რა ლენინის ანდერძს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა შექმნეს მძლავრი ქსელი ჰიდრავლიკური და სითბური ელექტროსადგურებისა, რომლებიც თითქმის ასჯერ მეტ ელექტროენერგიას აწარმოებენ, ვიდრე რევოლუციამდე. ეს საშუალებას იძლევა კიდევ უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე განვითარდეს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა აგრეთვე სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების დარგში. მაგალითად, საქართველოში სარწყავი ფართობი 1921 წელს შეადგენდა 95 ათას ჰექტარს, 1960 წელს კი—341 ათას ჰექტარს. დიდი არხები და სარწყავი სისტემები შეიქმნა აზერბაიჯანსა და სომხეთში. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, სარწყავი მიწათმოქმედება ამიერკავკასიის პირობებში, სადაც ბევრია მზე და სითბო, სადაც კარგი ნიადაგებია, სხვადასხვა კულტურების უხვ მოსავალს იძლევა.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმატებებმა უზრუნველყო თქვენი რესპუბლიკების მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება. განა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების დამაჯერებელი მაჩვენებელი არ არის მოსახლეობის ზრდა? აი რამდენიმე მონაცემი თქვენი რესპუბლიკების შესახებ.

1913 წელს საქართველოში იყო 2 მილიონ 600 ათასი კაცი, 1961 წლის 1 იანვრისათვის კი რესპუბლიკის მოსახლეობა 4 მილიონ 227 ათას კაცამდე გაიზარდა. **(ტაში);** აზერბაიჯანში 1913 წელს იყო 2 მილიონ 339 ათასი კაცი, 1961 წელს კი არის 3 მილიონ 955 ათასი კაცი **(ტაში);** სომხეთში 1913 წელს იყო 1 მილიონი კაცი, 1961 წლის 1 იანვარს კი 1 მილიონ 893 ათასი კაცია. **(ტაში).**

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მაგალითით, ისევე როგორც შუა აზიის რესპუბლიკების, რუსეთის ყველა ყოფილი ეროვნული განაპირა მხარის მაგალითით, ჩვენ ვხედავთ, რომ დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ იხსნა პატარა ხალხები ექსპლოატატორთა და უცხოელ დამმონებელთა მიერ მოსპობისაგან. სოციალიზმმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს დაუსახა გზა ჭეშმარიტი აყვავებისა დიდი და პატარა ხალხების თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის საფუძველზე. **(მქუხარე ტაში).**

უნდა ვუფრთხილდებოდეთ და გავითარებდეთ მეგობრობას ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის, ვავითარებდეთ მეგობრობას ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა შორის, რომელთა წარმომადგენლები თქვენ ხართ. ჩვენი მეგობრობა ძმური მეგობრობაა შრომის ადამიანებისა, რომლებსაც საერთო ინტერესები, საერთო საქმე და საერთო მიზნები აქვთ. ჩვენი მეგობრობა შთაგონებულია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, იგი იზრდება და მტკიცდება სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. **(მქუხარე ტაში).**

ხალხთა შეკავშირება და ერთიანობა, მეგობრობა და თანამშრომლობა იმ ქვეყნების დიდი მონაპოვარი და განვითარების უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ. ახლა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას აშენებენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხები, ქვეყნებისა, რომელთა მოსახლეობა მილიარდ კაცს აღემატება. სოციალიზმის ქვეყნების დიადი წარმატებანი სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე. მთაგონებენ ყველა ქვეყნის მშრომელებს მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირმა, რომელიც 1960 წლის ნოემბერში გაიმართა, ცხადყო მძლავრი სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის დიადი ერთიანობა, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მონოლითური შეკავშირება. ეჭვი არ არის, რომ მარქსისტულ-ლენინური პროგრამული დოკუმენტებით შეიარაღებული სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლები, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები ახალ წარმატებებს მიაღწევენ ყველა ხალხის ბედნიერებისა და ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში. **(ტაში).**

ჩვენი ლენინური პარტია — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მებრძოლი რაზმი — ზრდიდა და აკვლავაც აღზრდის საბჭოთა ადამიანებს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით. ხალხთა მტკიცე და ურღვევი მეგობრობა ჩვენი ძალაა. ეს არის სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების წყარო, ეს არის კომუნიზმის მომავალ გამარჯვებათა საწინდარი. **(მქუხარე ტაში).**

მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი

ამხანაგებო! ჩვენ აქ მოვისმინეთ ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ამხანაგების სიტყვები. მათ სიტყვები სხვადასხვა ენაზე წარმოთქვეს, მაგრამ საქმე და საზრუნავი მათი საერთოა და ამიტომ არსებითად ილაპარაკეს სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა ერთ ენაზე. **(ტაში).**

ახლა ნება მიბოძეთ მეც გამოვთქვა აზრი ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც თათბირმა განიხილა.

უწინარეს ყოვლისა მინდა ვთქვა, რომ შვიდწლიანი გეგმის დავალებები კარგად სრულდება, მთელი რიგი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიხედვით ჩვენ წინ ვუსწრებთ საგეგმო დავალებათა შესრულებას. გადაჭარბებით სრულდება როგორც წარმოების საერთო მოცულობის, ისე შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების — ამ მნიშვნელოვანი ხარისხოვანი მაჩვენებლების გეგმები. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს დიდი ზეგეგმითი სახსრები დავაგროვოთ.

როგორც ცნობილია, სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტია და მთავრობა ზეგეგმითი დაგროვების მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავენ მოხმარების საგნების: ქსოვილების, განსაკუთრებით ქიმიური ნედლეულის ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და საბჭოთა ადამიანებისათვის საჭირო სხვა ნაკეთობათა წარმოების გადიდებაზე. აღნიშნული მიზნებისათვის ასიგნებულია ათეულ მილიარდობით მანეთი შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული წინასწარი მონახაზის გადამეტებით. ამრიგად, მნიშვნელოვნად გაძლიერდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ტემპები.

მოსკოვიდან წამოსვლის წინ ვიყავი საფეიქრო მრეწველობის ნაწარმის გამოფენაზე და დიდი კმაყოფილება მივიღე. ეს გამოფენა ახარებს ყველა საბჭოთა ადამიანს, მაგრამ განსაკუთრებით გაახარებს ჩვენს ქალებს, იმიტომ რომ გამოფენაზე წარმოდგენილია ძალიან ბევრი კარგი და ლამაზი ქსოვილი. საჭიროა აღინიშნოს — ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ქსოვილების 15 პროცენტზე მეტი ქიმიური ნედლეულის გამოყენებით კეთდება. ასეთი პროდუქციის გამოშვება წლითიწლობით გადიდდება. იქმნება უსაზღვრო შესაძლებლობანი, იმიტომ რომ ქიმიური ნივთიერებანი ქსოვილების, ფეხსაცმლისა და სხვა საგნების საწარმოებლად განუსაზღვრელი რაოდენობით მოგვეპოვება.

საკითხი მხოლოდ ბუნებრივი სიმდიდრის უნარიანი გამოყენებაა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაა. თუ ამ მიმართულებით ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი საჭიროა, შეგძლებთ მთლიანად დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილებანი ამ საგნებზე. **(ტაში).**

ყოველივე ეს გვახარებს. მოხმარების საგნების წარმოების გადიდების დავალებათა შესრულების შედეგად შვიდწლედის დამლევისათვის ჩვენი ქვეყანა ევროპის ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების დონეზე იქნება ერთ სულ მოსახლეზე ამ საგნების წარმოების მხრივ. ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირი მომავალ ხუთ წელიწადში, ესე იგი 1970 წელს, დაეწევა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს ძალიან არ უყვართ, როცა ამას ვამბობთ. **(ტაში).** რატომ არ უყვართ ეს? თითქოს, რა მათი საქმეა. ჩვენ ხომ ამას ვაღწევთ ჩვენი სახსრებით, ჩვენი ფიზიკური და გონებრივი შრომით. არა, ეს მათ არ მოსწონთ. მათ არა სურთ შეურიგდნენ იმას, რომ რომელიღაც ხალხი,რომელიღაც ქვეყანა ბედავს მიაღწიოს იმ დონეს, რომელიც მათ მიღწეული აქვთ. მათ, ეტყობა, მიაჩნიათ, რომ წარმოების დონეს, რომელსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწიეს, ვერავინ ვერ გადააჭარბებს.

არა, ბატონებო, გსურთ ეს თუ არა, ეს თქვენზე არ არის დამოკიდებული. ჩვენი საბჭოთა ქვეყანა არა მარტო დაგეწევათ, არამედ კიდევაც გაგისწრებთ! **(ხანგრძლივი ტაში).**

ასე რომ ვამბობთ, ჩვენ არავის არ ვემუქრებით.

ჩვენ ხომ არ ვაპირებთ წაგართვათ თქვენი საქონელი და სიმდიდრე. ეს სიმდიდრე თქვენ გქონდეთ. ამერიკის შეერთებული შტატების სოციალური წყობილება დამოკიდებულია ამერიკელ ხალხზე, ხოლო ჩვენი სოციალური და პოლიტიკური წყობილება საბჭოთა კავშირის ხალხებმა დაამყარეს. ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს საფუძვლად უდევს ახალი სოციალური და პოლიტიკური საწყისები. ჩვენ წინ მივდივართ, ვავითარებთ ჩვენს ეკონომიკასა და კულტურას, ვაუმჯობესებთ ხალხის კეთილდღეობას არა სხვა ხალხების ხარჯზე, არამედ საკუთარი შრომით, ჩვენი მატერიალური რესურსებით, საკუთარი მეცნიერების განვითარებით. **(ტაში).** ჩვენი წარმატებანი, ჩვენი ზრდა სხვა ხალხებს როდი აყენებს ზიანს.

მაგრამ მონოპოლისტ მესვეურებს აშინებთ ჩვენი წარმატებანი, ისინი დაჰკანკალებენ თავიანთ დოლარებს, თავიანთ გირვანქა სტერლინგებს. რატომ? არა იმიტომ, რომ ჩვენ ხელყოფდეთ მათს დოლარებსა და გირვანქა სტერლინგებს. ჩვენ არ გვჭირდება სხვისი სიმდიდრე. მათ ეშინიათ, ამხანაგებო, ჩვენი მაგალითისა, სოციალიზმის ქვეყნის მაგალითისა, რომელმაც 43 წლის მანძილზე ეკონომიურად მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში, და შორს არ არის ის დრო, როცა პირველ ადგილს დაიკავებს მსოფლიოში. **(ხანგრძლივი ტაში).** მათ ეშინიათ სოციალისტური ქვეყნების მაგალითისა, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმატებებისა, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო ცხადყოფს თავის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

მონოპოლისტები შეშფოთებული არიან თავიანთი წყობილების გამო, რომელმაც თავისი დრო მოჭამა. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხების მიერ ნაჩვენები მაგალითი გადამდებია. უკვე მილიარდზე მეტი ადამიანი დადგა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშების ქვეშ და მიდის სოციალიზმის მშენებლობის გზით. სწორედ ეს აშინებთ მონოპოლისტებს. მოდით შევეჯიბროთ ერთმანეთს, მოდით საქმით ცხადყოთ, თუ რომელი წყობილებაა უკეთესი, მოდით ცხოვრებით, პრაქტიკით დავარწმუნოთ ხალხები, თუ რომელი წყობილება მისცემს ადამიანებს მეტ მატერიალურ და სულიერ სიკეთეს. უკეთესიც ის წყობილება იქნება.

ჩვენ ჩვენი სოციალისტური, კომუნისტური წყობილება არ გვაფიქრებს. 43 წელი იარსება რა ჩვენს ქვეყანაში, მან ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა, როგორიც იგი ცარიზმის დროს იყო, მძლავრ და აყვავებულ სახელმწიფოდ გადააქცია. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მომავალში ჩვენი წყობილება კიდევ უფრო ცხადყოფს თავის სასიცოცხლო ძალას.

ახლა, მრავალი ათეული წლის გმირული ბრძოლის შემდეგ, ჩვენი სოციალისტური ქვეყანა, რომელმაც მძლავრი ინდუსტრია შექმნა, მეცნიერება განავითარა, დევგმირის ნაბიჯებით ივლის წინ, და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ეს ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამ უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მომიხდა ყოფნა, და არ გავწითლებულვარ, როცა ერთმანეთს ვადარებდი საბჭოთა ადამიანებისა და კაპიტალისტური ქვეყნების ადამიანების გარეგნობას, ტანსაცმელს. შესაძლოა საზღვარგარეთის ქვეყნებში აქა-იქ ტანსაცმელი უფრო ფერად-ფერადი იყოს, მაგრამ ხომ უნდა მივიღოთ მხედველობაში ჩვენი ქვეყნისა და დასავლეთის ქვეყნების სხვადასხვა ჰავა. ასეთი ქვეყნების წარმომადგენლები თავიანთი ტანსაცმლით რომ ჩამოვიდნენ ჩვენში, ვთქვათ ირკუტსკში, როცა ძლიერი ყინვებია, უთუოდ გვთხოვენ, თქვენი ტანსაცმელი ჩაგვაცვითო. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ბევრ ჩვენს რაიონში უფრო მკაცრი ბუნებაა, ამიტომ ჩვენს ადამიანებს უფრო მძიმე და უფრო თბილი ტანსაცმელი სჭირდებათ, და ბუნებრივია, რომ ეს ტანსაცმელი არც ისე ფერად-ფერადია. მაგრამ ჩვენი მოქალაქეების საზაფხულო ტანსაცმელი ფერად-ფერადი და ლამაზია. საბჭოთა ადამიანების საზამთრო ტანსაცმელიც უფრო კარგია, ვიდრე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. როცა მოხმარების საგნების წარმოების დასახული გეგმა შესრულდება, კიდევ უფრო ლამაზ და კარგ ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა და საბჭოთა ადამიანისათვის საჭირო სხვა საყოფაცხოვრებო საგნებს შევქმნით.

ჩვენ, რუსებს, და უთუოდ ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებსაც, გვაქვს მოსწრებული ანდაზა: „სახლის ლაზათი მორთულობა კი არა, პურ-დღინოაო". ეს სწორი ნათქვამია.

რატომ ვამბობ, უთუოდ თქვენც გაქვთ ასეთი ანდაზა-მეთქი? იმიტომ, რომ ბევრი ანდაზა ყოველ ხალხს თავისად მიაჩნია. ბევრ ქვეყანაში, სადაც ვყოფილვარ, გამოსვლების დროს მომიყვანია რუსული ანდაზები, ჩემთვის არაერთხელ უთქვამთ, ასეთივე ანდაზები ჩვენცა გვაქვსო, ანდაზები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ეს გასაგებიც არის. ხალხები ხომ ათასწლეობით ცხოვრობენ და ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. ხალხში წარმოიშობა ანდაზები. რუსებს ჰგონიათ, რომ ეს რუსული ანდაზაა, ქართველებს მიაჩნიათ, რომ ეს ქართულია, ხოლო სომხები, რასაკვირველია, ფიქრობენ, სომხურიაო. **(გამოცოცხლება, ტაში).** ეს სასიამოვნოა. ეს ერთმანეთთან აახლოებს ხალხებს.

ჩემ მიერ მოყვანილ ანდაზას ღრმა აზრი აქვს. საჭიროა გვქონდეს კარგი ტანსაცმელი, კარგი ფეხსაცმელი, მაგრამ კიდევ უფრო საჭიროა გემრიელი სადილი, საუზმე, ვახშამი. თორემ კარგი კოსტიუმი და კარგი ფეხსაცმელიც რომ გეცვას, მაინც გეგონება, რომ არც კოსტიუმი გაქვს კარგად მორგებული და არც ფეხსაცმელი. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

სოციალისტურ საზოგადოებაში ყველაფერი ჰარმონიულად უნდა ვითარდებოდეს. ჩვენმა ხალხმა შექმნა მაღალგანვითარებული მძიმე მრეწველობა, რომელმაც გაბატონა ჩვენი ქვეყნის ძლიერება, დამაჯერებლად დაგვანახა სოციალისტური სისტემის დიდი შესაძლებლობანი. ინდუსტრიული მშენებლობით ჩვენ მთელი მსოფლიო განვაცვიფრეთ.

ამჟამად ჩვენი წინსვლა უზრუნველყოფილია, ჩვენი ხალხი მტკიცედ მიდის გამარჯვებათა ამ გზით. განვითარების ახალ ეტაპზე მძიმე მრეწველობა კვლავაც დაჩქარებული ტემპებით განვითარდება, რათა დაეწიოს ეკონომიურად ყველაზე მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ აღარა ვთქვათ რა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებზე, რომლებსაც გავასწრებთ 1965 წელს, შვიდწლედის დამლევს.

მსუბუქი მრეწველობა აგრეთვე დაჩქარებულად განვითარდება. ახლა ჩვენ გაცილებით მეტი შესაძლებლობა გვაქვს, ჯეროვნად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გვექნეს ღვეზელი, ხორცი, რძე, ბოსტნეული, ხილი და ყოველგვარი დელიკატესი — ყურძენი, ციტრუსები, საზამთრო, ნესვი, ვაშლი, მსხალი. უნდა გავადიდოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება.

ქართველისათვის სუფრა უხვი ვერ იქნება, თუ იქ არ არის საცივი ან არ არის ჩახოხბილი **(გამოცოცხლება დარბაზში);** აზერბაიჯანელისათვის ის რა სუფრაა, თუ იქ ლულაქაბაბი არ არის **(გამოცოცხლება დარბაზში).** სომხისათვის — თუ მწვადი არ არის **(გამოცოცხლება დარბაზში).** საიდან უნდა გვექნეს ყოველივე ეს. ეს შეიძლება დიდი რაოდენობით ვაწარმოოთ, თუ გამოვიყენებთ ყველაფერს, რაც მოეპოვება საბჭოთა ქვეყანას, მის სოფლის მეურნეობას. ჩვენ კი, ამხანაგებო, მოგვეპოვება ყოველივე, რათა გადავწყვიტოთ ხალხის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების ამოცანა.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი, თათბირები სოფლის მეურნეობის შესახებ, ასე ვთქვათ, არსობის პურისათვის ბრძოლის დონეზე როდი მიმდინარეობს. პური არსობისა გვაქვს და არა მარტო ხმელა პური, არამედ პურთან ერთად ბევრი სხვა რამეც. მაგრამ მეტი გვინდა. ჩვენ გვინდა ისე განვავითაროთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, რომ საკმარისად გვქონდეს ყველაფერი, ამასთან გვქონდეს უფრო კალორიული, უფრო გემრიელი პროდუქტები. **(ტაში).**

როცა ისმენ თათბირებზე გამოსვლებს, ესაუბრები კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, როცა აქ თათბირზე უსმენ თქვენი რესპუბლიკების წარმომადგენლებს, სიხარულს გრძნობ. გახარებს ბევრი ამხანაგის სიტყვები და საქმეები, გახარებს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების ღრმა გაგება და, რაც მთავარია, მათი რწმენა, რომ შეგვიძლია გადავწყვიტოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანა და არა მარტო გადავწყვიტოთ, არამედ გადავწყვიტოთ უახლოეს ხანში, უახლოეს წლებში. **(ტაში).**

როგორია უახლოესი წლების ამოცანა? საჭიროა შევასრულოთ სოფლის მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ეჭვი არ არის, რომ შვიდწლიანი გეგმის დავალებები შესრულდება, ამასთან, როგორც ჩანს, ამ გეგმებს ბევრი რესპუბლიკა ვადამდე შეასრულებს. მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი. ისევე როგორც მრეწველობაში, უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე განვითარებულ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მხრივ. ეს ამოცანა დგას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების, მეცნიერების წინაშე.

კიევში, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოსვლისას ვილაპარაკე უკრაინის შესაძლებლობებზე. მას შეუძლია [illegible] რამდენიმე წელიწადში, ხორცის წარმოების მხრივ კი ერთ-ორ წელიწადშიც.

საქმე, რასაკვირველია, ერთობა [illegible], მაგრამ მათი რეალიზაცია დამოკიდებულია ადამიანთა უნარზე, მათს ორგანიზებულობაზე, იმაზე, თუ რამდენად კონკრეტული ამოცანაა დასახული თვითეული კოლმეურნეობის წევრთა კოლექტივისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკების წინაშე და პრაქტიკულად როგორ უნდა გადაიჭრას ეს ამოცანა.

მინდა თქვენთანაც განვიხილო ასეთი ამოცანა. თქვენ გამოიანგარიშეთ ყოველივე, აწონ-დაწონეთ თქვენი შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

ჩვენ შევქმენით საბჭოთა სახელმწიფო, ავაშენეთ სოციალიზმი. ახლა ვაშენებთ კომუნიზმს. რა არის კომუნიზმის მშენებლობა? ხატოვნად რომ ვთქვათ, ახლა ჩვენი ხალხი ავსებს სოციალისტურ ფიალას, რათა იგი პირთამდე იყოს სავსე. თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის ხალხმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი ამ დიად საქმეში. **(ტაში).**

იბადება ასეთი კითხვა. იქნება საჭირო იყოს ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახლა შევიმუშაოთ კონკრეტული გეგმები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისა იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნისათვის ერთ სულ მოსახლეზე ხორცისა და რძის წარმოების უფრო მაღალ დონეს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ასეთი გეგმები უნდა ჰქონდეს თვითეულ რესპუბლიკას, თვითეულ ოლქს, თვითეულ რაიონს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოში მოვითათბირებთ ამ საკითხებზე, განვიხილავთ, თუ როგორ მოვაწყოთ უკეთესად ეს მუშაობა.

შესაძლოა, ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევენ მიმართონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა მუშაკს — კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, მეცნიერებს მოწოდებით — გააჩაღონ ბრძოლა შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, იმ ამოცანის გადაჭრისათვის, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, კონკრეტულად ხორცის და რძის წარმოების მხრივ. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ იმდენი პროდუქტი, რამდენიც საჭიროა მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის. **(ტაში).**

ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოების მაღალი დონე სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის მთელ მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა იკმაყოფილებდეს თავის მოთხოვნილებებს საჭირო პროდუქტებზე.

კაპიტალიზმის იდეოლოგები ცდილობენ დაასაბუთონ, რომ მარქსის მოძღვრება კაპიტალისტური წარმოების განვითარების შესახებ, შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის შესახებ მოძველდა, რომ ჩვენი დროის კაპიტალიზმი თითქოს სხვანაირია. სინამდვილეში კი თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა კაპიტალისტურ სამყაროში, მათ შორის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, საეს ებით ადასტურებს მარქსის მოძღვრების სისწორესა და ცხოველმყოფელობას. ლაპარაკი იმაზე, რომ მარქსის მოძღვრება კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ მოძველდაო, შეუძლიათ მხოლოდ ბრმებს ან იმ ადამიანებს, რომლებიც ემსგავსებიან ისეთ არსებებს, რომლებიც იმალებიან სიბნელეში და ეშინიათ მზის კაშკაშა სინათლისა.

საზოგადოებრივი განვითარების მთელი მიმდინარეობა ცხადყოფს, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი ჩვენს დროში კიდევ უფრო მწვავდება, მისი წყლულები კი უფრო შიშვლდება. ნახეთ, რა ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში! იქ ახლა 7 მილიონზე მეტი უმუშევარია: 5,4 მილიონი მთლიანად უმუშევარი და 1 მილიონ 700 ათასი ნახევრადუმუშევარი. ეს ამერიკის ოფიციალური მონაცემებია. თუ ეს მონაცემები ეშმარიტებას ღალატობს, ღალატობს შემცირების მიმართულებით.

უფროსი თაობის მუშებს, რომლებიც კაპიტალისტებს ემსახურებოდნენ, კონკრეტულად აქვთ წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავს იყო უმუშევრობის მსხვერპლი. ბევრი მათგანი თვითონაც ყოფილა უმუშევარი და იცის, თუ როგორია იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელმაც სამუშაო დაკარგა: იგი მიდის ოჯახში, ოჯახი მიელის მის ხელფასს, მიელის კვების პროდუქტებს, ამის მიტანა კი უმუშევარს არ შეუძლია. უმუშევრობა ტრაგედიაა მშრომელთათვის. იქ, ამერიკაში, მუშები ხშირად იღებენ საქონელსა და ნივთებს კრედიტით. მაგრამ იმისათვის, რომ გადახდის საშუალება ჰქონდეს, მუშა უნდა მუშაობდეს. თუ იგი სამუშაოს დაკარგავს, მოდიან კრედიტორები, მიაქვთ ნივთები, უმუშევართა ოჯახებს მათხოვრულ არსებობას განუმზადებენ.

და იმ დროს, როცა მცირდება წარმოება, როცა ქვეყანაში მილიონობით უმუშევარი და მრავალი მშიერია, როცა ნახევრადმშიერი ცხოვრობენ მოხუცები, მოზრდილები და ბავშვები, — ამ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს სული ეხუთებათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჭარბწარმოებისაგან. მონოპოლისტები ფიქრობენ, სად წაიღონ ეს პროდუქტები. უბრალო ადამიანისათვის, რომელიც სოციალისტურ ქვეყანაში ცხოვრობს, ცხადია: თუ არის პროდუქტების ჭარბწარმოება, რატომ არ უნდა მიეცეთ ეს პროდუქტები ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა გამოკვებონ თავიანთი ოჯახები.

მონოპოლისტები სხვანაირად ფიქრობენ. ისინი არ მისცემენ გაჭირვებულთ ამ პროდუქტებს, არამედ გაანადგურებენ პროდუქტებს, რათა შეინარჩუნონ მაღალი ფასები ბაზარზე. სწორედ ეს არის კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი გაშიშვლებული სახით. და ვერავითარი სიტყვით, ვერავითარი დაპირებით, ვერავითარი პარაკლისით ვერ აღმოიფხვრება ის, რაც ახასიათებს კაპიტალიზმის თვით ბუნებას, — მისი ანტაგონისტური წინააღმდეგობანი. მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალისტური წყობილება შეიცვლება სოციალიზმით, კომუნიზმით, მხოლოდ მაშინ აღმოიფხვრება ანტაგონისტური წინააღმდეგობანი.

ჩვენი ქვეყნისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების განვითარება უჩვენებს ყველა ხალხს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით. **(ტაში).**

უფრო სრულად გამოვიყენოთ ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

მწველავად იმუშაოს? მან კი დაამთავრა ათი კლასი და მწველავად დაიწყო მუშაობა.

ძაგრამ სწორედ იმის მეოხებით, რომ ამ ქალიშვილმა დაამთავრა ათი კლასი, მან გაუსწრო ბევრ ძველ და უფრო გამოცდილ მწველავს. გახათლებამ საშუალება მისცა მას სწრაფად დაუფლებოდა სპეციალობას. კარგი განათლება სჭირდება არა მარტო მწველავს, არამედ ყველას სჭირდება იგი. ამიტომ არის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ასე ხარბად ეწაფება სწავლას, რათა შემდეგ წარმატებით იმუშაოს როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისევე საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაში. **(ტაში).**

ასე იქცევა ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი. ძაგრამ ჩვენ ში, სამწუხაროდ, კიდევ არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც მიიღებენ განათლებას და ელოდებიან, როგორ გამოიყენონ იგი მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის. არიან თავისებური არისტოკრატებიც, რომლებსაც შეუსისხლხორცებიათ ყოველივე ცუდი, რაც კი ძველ დროს ახასიათებდა. ასეთი ადამიანები ასე მსჯელობენ: რადგანაც განათლება მივიღე, როგორ შემიძლია წავიდე ბოსელში სამუშაოდ, როგორ შემიძლია მივუჯდე ტრაქტორის ან ავტომობილის საჭეს, წავიდე ქარხანაში, იქ ხომ შეიძლება ზეთითა და მურით ხელი დავისვარო. ბაგრამ ეს წარსულის გადმონაშთია.

ჩვენი საზოგადოება იმდენად ძლიერია, რომ ეს ვაჟბატონი უსაქმურები აღრე თუ გვიან იძულებული გახდებიან ისწავლონ ანგარიში გაუწიონ ჩვენს სოციალისტურ წესწყობილებას. რაც უფრო წინ წავალთ, მით უფრო ნაკლები იქნება მუქთახორები. ხოლო იმათ მიმართ, რომლებიც არ მოისურვებენ ხელი აიღონ პარაზიტულ ცხოვრებაზე, საჭირო იქნება უფრო გადამწყვეტ ღონისძიებათა მიღება. საჭიროა ზეგავლენა მოვახდინოთ მათზე კანონის ძალითაც და საზოგადოებრივი აზრის ძალითაც. საზოგადოებამ მათზე სახსრები დახარჯა, როცა ისინი სწავლობდნენ, და ახლა საზოგადოება მოელის დავალიანების ანაზღაურებას, იმ სახსრების ანაზღაურებას, რომლებიც მიიღეს ამ ადამიანებმა ასე ვთქვათ როგორც კრედიტი სწავლის დროს. **(ტაში).**

ამხანაგებო! ამიერკავკასიაში დიდი შესაძლებლობებია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის. თქვენ კარგი პირობები გაქვთ. თუმცა მიწა ცოტაა, ბაგრამ სამაგიეროდ ბევრია მზე. მართალია, ზოგიერთი რაიონი გვალვიანია. მაგრამ თუ წყალს მიაწოდებთ, თქვენი მიწები უხვ მოსავალს მოგცემენ.

მარცვლეულ კულტურებთან ერთად თქვენში კარგად ხარობს ჩაი, ბამბა, ყურძენი, დაფნა, ტუნგო, ციტრუსები და სხვა ძვირფასი კულტურები. თქვენი რესპუბლიკების მიწების სიმდიდრე საჭიროა კიდევ უფრო სრულად გამოიყენოთ ხალხისათვის.

მინდა მოვეთათბირო მეცნიერ ქიმიკოსებს ამ საკითხზე. როცა თქვენს რესპუბლიკაში ვარ ხოლმე, როცა დასასვენებლად ჩამოვდივარ, მახარებს სამხრეთის ბუნების სიმდიდრე. ბაგრამ მწყინს, როცა ვხედავ, რა ბევრია აქ ველური მცენარეულობა, ზედმეტი ბუჩქნარი, სრულიად უსარგებლო ხეები. ამასთან ეს ბუჩქნარები არც სილამაზეა, არამედ მხოლოდ სარეველებია. ბაგრამ მათი მოსპობა მეტად ძნელია. მათ ბაგრად გაუდგამთ ფესვები მაღლიან მიწაში. მეცნიერები რომ დაგვეხმარებოდნენ მოვსპოთ სარეველა მცენარეულობა რაიმე ქიმიური საშუალებებით, რომ იგი გახმეს და მოისპოს, — შესაძლებელი გახდებოდა განთავისუფლებული ფართობის გამოყენება სასარგებლო მცენარეებისათვის. ეს მიწები მოგვცემდა ახალ დოვლათს ჩვენი ქვეყნისათვის.

თათბირის წინ ვიყავი საქართველოს ზოგიერთ მეურნეობაში. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სპეციალისტები ლაპარაკობდნენ რესპუბლიკის დიდ შესაძლებლობებზე ხორბლის, ქერის, სიმინდის, ხორცის, რძის წარმოების გადიდებაში. დრომ საშუალება არ მომცა წავსულიყავი აზერბაიჯანისა და სომხეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ ის, რაც აღნიშნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, როგორც ჩანს, დამახასიათებელია ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებისთვისაც.

თქვენ შეგიძლიათ მოიყვანოთ ორი მოსავალი წელიწადში. ორი მოსავალი წელიწადში — ეს ხომ შესანიშნავია!

გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. უტიაშვილმა გვიამბო: 1960 წელს კოლმეურნეობაში დაითესა 355 ჰექტარი ხორბალი. მიღებულია ხორბლის მოსავალი 22,5 ცენტნერი ჰექტარზე. ხორბლის მოსავლის აღების შემდეგ 50 ჰექტარ ფართობზე დაითესა სიმინდი. მარცვლის მოსავალმა შეადგინა 24,6 ცენტნერი ჰექტარზე. ამ კოლმეურნეობის ბრიგადირმა დ. მღებრიშვილმა თავდაპირველად მიიღო 30 ცენტნერი ქერი ჰექტარზე, ხოლო შემდეგ დათესა სიმინდი და მოიყვანა 30 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე.

ლაგოდეხის რაიონის ძერეინსკის სახელობის კოლმეურნეობაში ქერის მოსავლის აღების შემდეგ დაითესა სასილოსე სიმინდი. სასილოსე სიმინდი მიღებულია 450 ცენტნერი ღერო და ტარო ჰექტარზე.

ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში, თქვენში დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის თესვა-მოყვანის კომპლექსურ მექანიზაციას. ძალიან კარგად ილაპარაკა ამის შესახებ შეხვედრის დროს ა. ბენაშვილმა — წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მექანიზატორმა. 1960 წელს მან დათესა და ხელის შრომის გამოუყენებლად დაამუშავა 130 ჰექტარი სიმინდი და 61 ჰექტარი მზესუმზირა. ურწყავ მიწებზე მიღებულია სიმინდის მოსავალი 22,9 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე, მზესუმზირა — 20,2 ცენტნერი. როგორც ამხ. ბენაშვილმა განაცხადა, სიმინდისა და მზესუმზირას ნათესებში ყველაფერი მანქანით გაკეთდა. იგი თესავდა კიდულ სათესი მანქანით, ამუშავებდა ნათესებს კიდული კულტივატორით და მოსავალი აიღო კომბაინით.

ეს მთავარია, ამხანაგებო! საჭიროა, რომ ადამიანი მართავდეს მანქანას. ეს არის ადამიანის გონების გამოვლინება, და არა ის, რომ ქანცგაწყვეტით და ცხრად მოკაკული მუშაობდეს მინდვრად. ტექნიკა შესაძლებლობას გვაძლევს შევამსუბუქოთ სასოფლო-სამეურნეო შრომა.

1961 წელს ა. ბენაშვილმა ვალდებულება იკისრა ხელის შრომის გამოუყენებლად მოიყვანოს 100 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 65 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოურწყავად, 60 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 20 ცენტნერი მზესუმზირა.

ამხ. ბენაშვილის გამოცდილება მხარდაჭერის ღირსია. ეს არის ის გზა, რომელსაც უნდა დაადგნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. **(ტაში).**

როცა კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს ვესაუბრებოდი, აზრი გამოთქვეი, რომ, როგორც წესი, უნდა მოჰყავდეთ ორი მოსავალი, მით უმეტეს სარწყავ მიწებზე. იქ, სადაც არ არის რწყვა, შეიძლება ტენმა არ იკმაროს, მიწაში თესლს ჩაყრით, ის კი არ აღმოცენდება. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, მე მხედველობაში მაქვს სარწყავი მიწათმოქმედება, როცა ვლაპარაკობ ორ მოსავალზე. იქ, სადაც კლიმატური პირობები საშუალებას გვაძლევს, მიწები, როგორც წესი, უნდა გამოვიყენოთ ორი მოსავლის მოსაყვანად.

რა კულტურების თესვა უფრო ხელსაყრელია შეწყვილებულად? გამოვთქვი სხვადასხვა ვარაუდი. ვფიქრობ, რომ მაინც ყველაზე ხელსაყრელია დაითესოს საშემოდგომო ხორბალი ან საშემოდგომო ქერი, ხოლო ამ კულტურების მოსავლის აღების შემდეგ დაითესოს სიმინდი, რადგან სიმინდი თქვენში შეიძლება სამარცვლეადაც დამწიფდეს ან მოგცემთ კარგ სასილოსე მასას.

თუ მორწყვას შეძლებთ, ტენის დიდი მარაგი გექნებათ, და შეგიძლიათ მიიღოთ სასილოსე მასა 700-1.000 ცენტნერი ჰექტარზე.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა კვადრატულ-ბუდობრივ თესვასა და სიმინდის თესლის დაკალიბრებაზე. კოლმეურნეობა „საქართველოში“ ვესაუბრე ერთ მექანიზატორს, ძალიან გამოცდილ და გონიერ კაცს, რომელსაც ესმის თავისი საქმე. ბაგრამ მან სუსტად იცის რუსული ენა, მე კი სრულებით არ ვიცი ქართული. ამიტომ როცა დიდმნიშვნელოვან საქმეზე ვლაპარაკობდით, ჩვენ მთლად სწორად არ გვესმოდა ერთმანეთის ნათქვამი. მან თქვა, რომ 1961 წელს სიმინდს დათესავს არა კვადრატულ-ბუდობრივი წესით, არამედ მწკრივად. თქვენ ხომ მეტ შრომას დახარჯავთ, — ვუთხარი მე. შეიძლება, რასაკვირველია, მოსავალი მოიყვანოთ მწკრივად თესვის დროსაც, ეჭვი არ მეპარება, ბაგრამ მთელი საკითხი ის არის, რამდენი შრომა იხარჯება პროდუქციის ერთეულზე. ყველაზე მთავარია, რა ეღირება წარმოებული პროდუქტი. მექანიზატორმა განაცხადა, რომ კვადრატულ-ბუდობრივად თესვის დროს მცენარეთა საჭირო სიხშირეს ვერ უზრუნველყოფს.

როგორც შემდეგ გამოირკვა, მექანიზატორი მართალი იყო, თქვენში, საქართველოში სიმინდი დაკალიბრებული არ არის, სიმინდის მარცვალი მსხვილია და მისთვის საჭირო დისკების კომპლექტი არა გაქვთ. ამიტომ სიმინდი არ ითესება. რჩება ბევრი ცარიელი ბუდე. თქვენ აუცილებლად უნდა დააკალიბროთ სიმინდი. არ შეიძლება ამ კულტურის თესვა-მოყვანის მექანიზაცია, თუ თესავთ დაუკალიბრებელ თესლს. როგორც ჩანს, უნდა იფიქროთ იმაზე, რომ ამიერკავკასიაში გქონდეთ საკალიბრო ქარხანა და სათესი მანქანებისათვის გამოუშვათ დისკების საჭირო კომპლექტები.

ეს აგრეთვე მოწმობს, რომ კონსტრუქტორებმა მანქანების შექმნის დროს უნდა გაითვალისწინონ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონის თავისებურებანი.

ამხანაგებო! კახეთში მითხრეს: კახელს მჭადს ვერ აჭმევთ, ეს მას სათაკილოდ მიაჩნიაო, ეს დასავლეთი საქართველო როდიაო. კახელები ველის მცხოვრებნი არიან. უკრაინელები ბევრ სიმინდს თესავენ, ბაგრამ მჭადს არ ჭამენ. ისინი სიმინდს იყენებენ როგორც საკვებ კულტურას. საჭირო არ არის ვიდავოთ ადამიანთა ჭამის ჩვევებზე. თვითეულმა ჭამოს, რაც უყვარს, და შეერგოს. ბაგრამ სახელს ნუ გაუტეხთ სიმინდს. ბევრისათვის სიმინდი გემრიელია.

მახსოვს, როცა ამხანაგ სტალინთან ვიყავით ხოლმე სადილად, სუფრაზე მისთვის ყოველთვის მოჰქონდათ მჭადი, თუმცა როგორც მოგეხსენებათ, ხორბლის პურის ჭამის საშუალებას მოკლებული არ იყო.

სამტრედიის რაიონი რომ გამოვიარე, მომიძღვნეს საჩუქარი — სინი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ავიღე მჭადი, მოვტეხე, გავსინჯე და ვთქვი: კარგია! ქართველი ამხანაგები კი მირჩევენ: ყველი, ყველი უნდა შეატანოთ, და არა როგორც თქვენ მიირთმეეთო. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

ამხანაგები კმაყოფილი დარჩნენ. მჭადი რომ მომეწონა, ბაგრამ მეორე ძხრივ ეწყინათ, ისე რომ არ ვჭამდი, როგორც უნდა. თუ სინჯავ, ფიქრობენ ისინი, უნდა ჭამო ისე, რომელიც იმერლები, როგორც კი პროვინციის ქართველები ჭამეს: მჭადს ყველი უნდა შეატანო. მე მათი რჩევა შევასრულე. მართლაც მჭადი ყველთან ერთად უკეთესია, ვიდრე უყველოდ. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

ასე რომ, ჭამაში შეიძლება ერთი გემოვნების ადამიანები არც იყოს. აიღეთ, ბაგალითად, ძოლდაველი. თუ ბოლდაველს ღომი წაართვით, ამით მას ყველაზე საუკეთესო საჭმელს მოუსპობთ. აიღეთ ჩვენი ძმები რუმინელი ამხანაგები. მათთვისაც ღომი ერთ-ერთი პირველი პროდუქტია.

აქ საქმე ჩვეულებაა. აიღეთ საშუალო ზოლის რუსი ადამიანი. ყოველ რუსს როდი უყვარს თეთრი პურის ჭამა, იგი ამჯობინებს შავ პურს, იმიტომ რომ, ამბობს იგი, უფრო ბაგრად ეგრძნობ თავს, როცა შავ პურს ვჭამო. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).**

მახსოვს ჩემი ოჯახი, მამაჩემი, როცა ჩვენ ვმუშაობდით დონბასის მაღაროში. შავი პურის შემდეგ, რომელსაც მე ბავშვობიდანვე მივეჩვიე რუსეთში, დონბასში ვამჯობინებდი თეთრ პურს. მამაჩემს არასოდეს თეთრი პური არ უჭამია, იგი ამბობდა, მე რომ თეთრი პური ვჭამო და ძავი პური არ ვჭამო, ვერ ვიმუშავებო. მამინ ხომ თორმეტი საათის სამუშაო დღე იყო. ისე კი არ იყო, როგორც ახლა, როცა შვიდი საათის სამუშაო დღეა და ზოგი ვინმე უკვე ფიქრობს, როდის ექნება ყველას ექვსი საათის სამუშაო დღეო. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში ტაში).**

მაშასადამე, კარგია კახეთში დაითესოს საშემოდგომო ხორბალი და საშემოდგომო ქერი, ხოლო ხორბლისა და ქერის შემდეგ დაითესოს სიმინდი და მიღებულ იქნას სიმინდის უხვი მოსავალი, თუმცა თვითონ კახელები არ ჭამენ მჭადს. საქმე ეხება თქვენი შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას.

ვფიქრობ, სწორად გამიგებთ. მე არ გაძლევთ თქვენ რჩევას, რომელიც კანონად უნდა მიიღოთ, ეს ჩემი მოსაზრებაა. თქვენ აქ დაიბადეთ, აქ გაიზარდეთ, თქვენვე უნდა გადაწყვიტოთ, როგორ აწარმოოთ მიწათმოქმედება, თქვენია ჯაფაც და მისი ნაყოფიც. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).**

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე მე ვილაპარაკე წარმოების ნოვატორებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეებზე, რომლებიც თავისებური შუქურები არიან და შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის გზას უჩვენებენ სოფლის მილიონობით მშრომელს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ჰყავთ თავიანთი შუქურები. დავასახელებ მაგალითებს. საქართველოს სსრ ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ 89 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 6.611 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ეს შესანიშნავი მაგალითია ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის, რომლებსაც ჩაის ფოთოლი მოჰყავთ.

აზერბაიჯანის სსრ ზაქათალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა სიმინდის უხვ მოსავალს იღებს. 1959 წელს კოლმეურნეებმა ჰექტარზე მიიღეს 45,6 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, 1960 წელს — 66 ცენტნერი. ამავე კოლმეურნეობაში 1960 წელს ჰექტარზე მიღებულია 1.142 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა (ღერო და ტარო).

აი ამიერკავკასიის რესპუბლიკების შესაძლებლობანი სიმინდის მარცვლისა და სასილოსე მასის წარმოების დარგში.

სომხეთის სსრ არტაშატის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობამ უკანასკნელ ორ წელიწადში საშუალოდ ჰექტარზე 180 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

ასეთი მაჩვენებლებით შეიძლება ამაყობდნენ არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკები, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანაც. **(ტაში).**

გამოგიტყდებით, ამხანაგებო, როცა გამოსვლისათვის ვემზადებოდი, რამდენადმე ძნელ მდგომარეობაში ვიყავი მეკვინახეობის მაჩვენებლების შეფასების დროს. მინდა ვაქო ადამიანები ყურძნის სარეკორდო მოსავლისათვის, მაგრამ ამავე დროს ამბობენ, რომ ყურძნის, განსაკუთრებით ღვინის წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძნის ხარისხის თვალსაზრისით, არის რაღაც ზღვარი. ყურძნის გამოყენების თავისებურებათა გაუთვალისწინებლად თუ შევეცდებით მაქსიმალური მოსავლის მიღებას, ყურძენი კარგავს სასარგებლო თვისებებს.

ამაზე, კერძოდ, ილაპარაკა აქ ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ნ. ხომიზურაშვილმა.

ასე რომ, მაპატიეთ, ამხანაგებო, მეკვინახეობის საკითხებში მე დიდი კომპეტენტური განმსჯელი არა ვარ, ჯერჯერობით ამას ვუდგები ასეთი საზომით, რაც მეტია, უკეთესია. **(მხიარული გამოცოცხლება).** მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის გამართლებული ზოგიერთი კულტურისათვის, განსაკუთრებით ყურძნისათვის.

მე დავასახელე რამდენიმე მაგალითი. შეიძლება მათი განგრძობა. საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ათასობით ადამიანი იმის ღირსია, რომ მათ შესახებ ლაპარაკობდნენ ამ თათბირზე. ბევრი საუცხოო ნიმუშია აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

რამდენიმე წლის წინათ მომიხდა აფხაზეთის სოფელ დურიფშში ყოფნა, სადაც მიმიწვიეს მოხუცებმა, სოფლის პატივცემულმა მცხოვრებლებმა. მადლობით მაგონდება ეს შეხვედრა, გულითადი და მხურვალე, როგორც მზე აფხაზეთში. მოხუცები გამიმასპინძლდნენ შესანიშნავი მწვადით, საუცხოო ღვინით. ეს მდიდარი კოლმეურნეობაა. მას კარგი ჩაის პლანტაციები და ვენახები აქვს. საიდუმლოდ გიტყვით, ისე გამიმასპინძლდნენ, როგორც ცნობილ იგავ-არაკშია ჭირვეული თამადის შესახებ. **(გამოცოცხლება დარბაზში).** მე მთხოვეს დამელია ღვინო, არ მახსოვს, რა ეწოდებოდა მას.

მ. თ. ბლაუბა. იზაბელა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. აი ამ იზაბელას ახლა არასოდეს არ დავივიწყებ. **(მხიარული გამოცოცხლება).** ესვამ ღვინოს, ტკბილია, რბილია და თითქოს მაგარიც არ არის. ჩემმა თავაზიანმა მასპინძლებმა საიდანღაც მოიტანეს კასრის მსგავსი ჭიქა, თვითეულმა დაისხა პირამდე და დალია. როცა ჯერი ჩემზე მოახლოვდა, ვიჯექი და ვკანკალებდი — რა ვქნა: დავლიო ღვინო თუ გავიქცე. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).** ვიფიქრე — რაკი ისინი ჩემზე უფროსები არიან და დალიეს, არც მე უნდა დავიხიო უკან, მეც დავლიე. **(მხიარული გამოცოცხლება).** ერთი სიტყვით, დამახსომდა სტუმართმოყვარეობა და ახლა ვამბობ: არა, ამ საქმეში აფხაზებს ვერ შეეჯიბრები. **(მხიარული გამოცოცხლება).** ბაგრამ ეს, ამხანაგებო, მოგონებაა ერთი ჩემი შეხვედრის შესახებ აფხაზეთში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის და უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ძირეული საკითხია მინდვრების რწყვა. თქვენ ყველამ იცით, რა მნიშვნელობას ანიჭებდა რწყვას ვ. ი. ლენინი. მე მგონია, დღევანდელ თათბირზე ერთხელ კიდევ სასარგებლოა გავიხსენოთ მისი სიტყვები. ვლადიმერ ილიას-ძე წერდა: „რწყვა განსაკუთრებით საჭიროა, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მეცხოველეობა რადაც უნდა დაგვიჯღეს“.

საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში გაწეულია დიდი მუშაობა რწყვის განვითარებისათვის. მარტო ომისშემდგომ პერიოდში ამიერკავკასიის რესპუბლიკების რწყვის საჭიროებებზე დაიხარჯა 3 მილიარდ 655 მილიონი მანეთი. ამან მნიშვნელოვნად გაადიდა სარწყავი ფართობები. ამჟამად სამ რესპუბლიკაში ირწყვება 1 მილიონ 428 ათასი ჰექტარი მიწა.

უნდა შეეგისწავლოთ რწყვის შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოანგარიშებით, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში პერსპექტიულად რწყვა შეიძლება ვაწარმოოთ 3 მილიონ ჰექტარ ფართობზე, ესე იგი სარწყავი ფართობები გავადიდოთ დაახლოებით 2 მილიონი ჰექტარით.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სარწყავი მიწები მიზანშეწონილია გავოვიყენოთ უწინარეს ყოვლისა ბამბის, ბრინჯის, სიმინდის, იონჯის მოსაყვანად, ვენახის გასაშენებლად.

როგორც ჩანს, მომავალში იონჯა თქვენში დიდ ადგილს დაიკავებს. რწყვის პირობებში იგი ძალიან უხვ მოსავალს იძლევა. ზოგიერთ ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა თივის ფხვნილის მომზადებას. და საუკეთესო თივის ფხვნილს, რა თქმა უნდა, იონჯისაგან ვიღებთ. თივის ფხვნილი კარგი ცილოვანი საკვებია. როგორც ჩანს, ჩვენც უფრო ფართოდ უნდა მოვაწყოთ მისი წარმოება.

ვახორციელებთ რა რწყვის შემდგომი განვითარების ღონისძიებებს, ამასთან ერთად საჭიროა გავაუმჯობესოთ იმ მიწების გამოყენება, რომლებიც ამჟამად ირწყვება.

მინდა ერთხელ კიდევ ვთქვა მსხვილი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო მერძევეობის მეურნეობათა შექმნის შესახებ, სადაც ძირითად საკვებად უნდა გამოვიყენოთ სარწყავი სიმინდი და შაქრის ჭარხალი. როტოვში მოვიყვანე გაანგარიშებანი, თუ რამდენი ახალი რძე იქნება საჭირო იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ქალაქი, სადაც მილიონიანი მოსახლეობაა. თქვენც უნდა იფიქროთ მერძევეობის მეურნეობების შექმნაზე ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო.

თუ დავთესავთ 14 ათას ჰექტარ სიმინდს და ჰექტარზე მივიღებთ 700 ცენტნერს, საკვები საკმარისი იქნება იმისათვის, რომ წელიწადში მივიღოთ 184 ათასი ტონა რძე. თუ დღეში ყოველ ადამიანზე ვიანგარიშებთ ნახევარ ლიტრ რძეს, ამდენი რძით შეიძლება უზრუნველყოთ ქალაქი, სადაც მილიონი კაცი ცხოვრობს.

საჭიროა, ამხანაგებო, მტკიცედ ვიმუშაოთ ამ ამოცანის გადასაჭრელად. არ შეიძლება დამოკიდებული ვიყოთ ბუნებაზე, როცა საქმე ეხება მოსახლეობის უზრუნველყოფას რძით. არ შეიძლება ველოდოთ — იქნება წვიმა თუ არა, მით უმეტეს ახლა, როცა ჩვენს ქვეყანას თანამედროვე ტექნიკა აქვს.

ოდესღაც ჩვენმა წინაპრებმა გამოიგონეს ჩიგირი, ესე იგი ბორბალი, რომლის ბრუნვითაც ხორციელდებოდა წყლის მიწოდება. ეს იყო მექანიზაცია, და იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი. ბაგრამ ჩვენს დროში, ატომური ენერგიისა და რაკეტული ტექნიკის საუკუნეში, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საუკუნეში, რწყვა შეიძლება დავაყენოთ უაღრესად თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე.

ჩვენს დროში მინდვრების მორწყვა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, არის თუ არა პირობები თვითდინებით რწყვისათვის. ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვაქვს დავდგათ ტუმბოები, მივცეთ ელექტროენერგია წყლის მისაწოდებლად იქ, სადაც ეს საჭიროა წარმოების ინტერესებისათვის. ასეთი რწყვა, სპეციალისტების გაანგარიშებით, უფრო ეკონომიური იქნება, ვიდრე თვითდინებით რწყვის დროს, ნაკლები იხარჯება წყალი, ხოლო მისი გამოყენება მეტი ეფექტით ხდება.

ხმები. სწორია! **(ტაში).**

როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის ის რესპუბლიკები და რაიონები, რომლებიც ახლა გვალვიანია, ბაგრამ კარგი ნიადაგი აქვთ, ახლო მომავალში გახდებიან დასაყრდენი მყარი, გარანტირებული მიწათმოქმედების შექმნაში, რომელიც ყველა პირობაში საჭირო რაოდენობით მისცემს ჩვენს ქვეყანას პროდუქტებს.

ჩვენ გვინდა, რომ ქალაქების მოსახლეობა მუდამ იყოს უზრუნველყოფილი რძის პროდუქტებით. ამიტომ მიზანშეწონილია ქალაქებიდან მცირე მანძილზე შეიქმნას მერძევეობის მეურნეობანი, რათა რძეს ასეულ კილომეტრებზე არ ვეზიდებოდეთ. ხელსაყრელია თავი მოვუყაროთ სარწყავი სიმინდის, შაქრის ჭარხლის ნათესებს და ასეთი საკვები ბაზის საფუძველზე საჭირო რაოდენობით ვაწარმოოთ რძე.

დროა, ამხანაგებო, ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როგორიც არის რძის ნაკლებობა ცალკეულ ქალაქებში.

ხშირად მიხდება საუბარი ოლქების ხელმძღვანელებთან, ვეკითხები მათ: როგორ არის საქმე, არის რძე ქალაქებში? ზოგი ხელმძღვანელი ვერ ბედავს თქმას, რომ ცოტა რძე შეაქვთ ქალაქში და მიპასუხებს: რძე არის, ბაგრამ შეფერხებებიც არის. რას ნიშნავს [illegible] ეს ხომ, უბრალოდ რომ ვთქვათ, რძის უქონლობაა. როცა არის რძე, შეფერხებები არ [illegible] **(ტაში).**

(ხმა დარბაზში, ტაში).

მე ვიცი, რომ ქართველ ამხანაგებს ამის შესახებ საკუთარი თეორია აქვთ. ქართველები ცოტა რძეს სვამენ, ისინი ღვინოს სვამენ. **(მხიარული გამოცოცხლება).** რა თქმა უნდა, ქართველები ღვინოს სვამენ, და არა მარტო ქართველები. თუ შესაძლებელია ღვინის ყიდვა, მას სხვა რესპუბლიკებშიც სვამენ. ღვინო სუფრის კარგი მშვენებაა, და საჭირო მეტს ვაწარმოებდეთ მას, ბაგრამ ვსვამდეთ, რა თქმა უნდა, ზომიერად. საჭიროა მეტს ვაწარმოებდეთ ყურძნის წვენს.

ბაგრამ ურძეოდ, ამხანაგებო, ადამიანი არ იბადება და არ იზრდება.

ხმები. სწორია!

რძის მოხმარება, როგორც ჩანს, ხალხის ეროვნული თავისებურება კი არ არის, არამედ ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. რძით მარტო ბავშვები როდი იკვებებიან, მოთხოვნილება რძეზე, რძის შეჩვევა ღრმა მოხუცებულობამდე რჩება. განა ცუდია ეს ჩვეულება, განა უარი უნდა ვთქვათ მასზე? არა, მთლიანად უნდა დავაკმაყოფილოთ ადამიანთა მოთხოვნილება რძეზე. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ და კიდეევაც უნდა გავაკეთოთ ეს. **(ტაში).**

მინდა შევეხო, ამხანაგებო, — რესპუბლიკებში მე უკვე შევეხე ამას, — სილოსის პასტად გადამუშავებას. როსტოვში მე ვნახე სილოსის პასტად გადასამუშავებელი მანქანა. ეს კოლმეურნეობისათვის სასარგებლო და საჭირო მანქანაა. უნდა განვაგრძოთ მუშაობა ასეთი მანქანების გასაუმჯობესებლად.

პასტის დამზადების იდეა ძალიან ძვირფასია. სილოსის პასტის გამოყენება ღორის გასასუქებლად დაზოგავს ორმოც პროცენტამდე კონცენტრატებს, რომლებიც გასუქებაზე იხარჯება. პასტა კარგი საკვებია ღორისა და სხვა ცხოველებისათვის და ფრინველისათვისაც კი.

ჩვენ ახლა ვაყენებთ ამოცანას რაც შეიძლება მეტი მოვამენოთ წყლის ფრინველი და უწინარეს ყოვლისა იხვი. პასტა იხვებისათვის საუცხოო, იაფი და ხელსაყრელი საკვები იქნება.

ამხანაგებო, ვფიქრობ, გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სარწყავი სიმინდი შეიძლება გახდეს ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სიმდიდრე. მინდა დავასახელო მაგალითი სიმინდის მოყვანისა სარწყავ ნაკვეთებზე. მართალია, ეს მაგალითი ამიერკავკასიის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკიდან როდია აღებული. იგი აღებულია უზბეკეთიდან, სადაც, აქვე რომ ითქვას, თქვენს რესპუბლიკებს შეუძლიათ სასარგებლო გამოცდილება მიიღონ სარწყავი მიწათმოქმედების მოწყობაში.

ტაშკენტის ოლქის ვერხნი ჩირჩიკის რაიონის კოლმეურნეობა „პოლიტგანყოფილებას“ აქვს 100 ჰექტარი სარწყავი სიმინდი. 1960 წელს ამ ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 1.850 ცენტნერი სიმინდის სასილოსე მასა ჭყინტლი და ბაზი ტაროებიანად.

სარწყავი სიმინდის ყოველ ჰექტარზე კოლმეურნეობამ მიიღო 37 ათასი საკვები ერთეული, რაც უდრის 370 ცენტნერ შვრიას ჰექტარზე. რომელი კულტურა შეეჯიბრება ამხანაგებო, სიმინდს საკვები თვისებების მხრივ! ჯერჯერობით ასეთი კულტურა არ არის. ერთ ჰექტარზე მიღებული საკვები საშუალებას აძლევს კოლმეურნეობას აწარმოოს 307 ცენტნერი რძე, ანუ 14 ცენტნერი კარაქი.

წარმოიდგინეთ, ამხანაგებო, 14 ცენტნერი კარაქი ჰექტარზე. ჩვენ ვაქებთ მოწინავე მეურნეობებს და სწორად ვაქებთ იმისათვის, რომ ისინი ჰექტარზე იღებენ 14 ცენტნერ მზესუმზირას, რაც უდრის 5-6 ცენტნერ მცენარეულ ზეთს. აქ კი კოლმეურნეობამ გვიჩვენა შესაძლებლობა მიიღოს 14 ცენტნერი კარაქი ჰექტარზე გაანგარიშებით. ბაგრამ თუ ტაშკენტის ოლქში შეძლეს მიეღოთ ასეთი მოსავალი, შეიძლება სიმინდის კარგი მოსავალი მოვიყვანოთ ამიერკავკასიის რესპუბლიკებშიც.

ერთი ტონა სილოსის თვითღირებულებამ 2 მანეთი და 10 კაპიკი შეადგინა ახალი ფასებით. თუ იაფი საკვები ექნება, კოლმეურნეობა აწარმოებს იაფ რძეს. 1960 წელს ცენტნერი რძის თვითღირებულებამ შეადგინა 6 მანეთი და 20 კაპიკი, ანუ კილოგრამი რძე 6 კაპიკი დაჯდა ახალი ფულით. აი რის მიღწევა შეიძლება სარწყავი სიმინდის უხვი მოსავლის დროს.

მინდა გიჩვენოთ ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულია კოლმეურნეობა „პოლიტგანყოფილების“ სიმინდი. უზბეკებმა გამომიგზავნეს ფოტოსურათი. ეს, იცით, ჯუნგლებია, ველფხვები გამრავლდებიან, თუ ასეთი სიმინდს მოვიყვანთ. შეხედეთ, ამხანაგებო, აი იგ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

პარაკე ამის შესახებ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე. ვიფიქრე და გადავწყვიტე, რა გამოდის, გავიარე რამდენიმე ასეული კილომეტრი, დავბრუნდები მოსკოვში და სინდისი შემაწუხებს, რომ არ გითხარით მთელი სიმართლე. **(სიცილი დარბაზში, ტაში).**

მეგობრებისათვის ნათქვამი სიმართლე, რა მწარეც უნდა იყოს იგი, არასოდეს არ უნდა აფუჭებდეს ურთიერთობას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ შეიძლება შევუერიგდეთ ნაკლოვანებებს, რომლებიც გაქვთ თქვენი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში. ეს ნაკლოვანებანი დამოკიდებულია თქვენზე, თქვენს ხელმძღვანელობაზე. რა თქმა უნდა, რესპუბლიკების ხელმძღვანელებს შეუძლიათ გაგაკრიტიკონ თქვენ და ალბათ გაკრიტიკებენ. ეს სწორია. მაგრამ თქვენ, ტყობა, საკმაოდ არ აკრიტიკებთ თქვენს ხელმძღვანელებს. საჭიროა ეს ვიკისრო მე, ასე ვთქვათ, ჩამოსულმა კაცმა, ვიკისრო კრიტიკოსის როლი.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში ცხვრის დიდი სიკვდილიანობაა. ამ მხრივ ცუდად არის საქმე ამიერკავკასიაშიც. საქართველოში 1960 წელს გაწყდა 201 ათასი ცხვარი, ანუ მთელი სულადობის 10 პროცენტი. სომხეთში გაწყდა 218 ათასი ცხვარი, ანუ მთელი სულადობის 11 პროცენტი. აზერბაიჯანში გაწყდა 224 ათასი ცხვარი, ანუ მთელი სულადობის 5 პროცენტი. ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთი ხელმძღვანელის უყაირათობით, უზრუნველობით.

აქ ამხანაგებმა მიამბეს, რომ როცა ფარებს სამომთაბარეო საძოვრებზე მიერეკებიან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხვარს თავიანთ ცხვარს უერთებენ კოლმეურნეები, მუშები და მოსამსახურეები.

ხმები. სწორია!

არ გამოვთქვამ ახლა ჩემს აზრს, სწორია ეს თუ არ არის სწორი. მინდა შევეხო სულ სხვა რამეს. როცა ფარები უკან ბრუნდებიან, კოლმეურნეები მიითვლიან ხოლმე იმდენს, რამდენი ცხვარიც ჩაბარეს საძოვრებზე გაგზავნის მომენტში, ხოლო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თავიანთ ეზოებში შერეკავენ იმას, რაც რჩება. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ეს სწორი არ არის. რადგან ერთად აძოვებთ ცხვარს, ერთად გაინაწილეთ დანაკარგებიც. თუ მგელი ჭამს ცხვარს, იგი არ არჩევს ვისი ცხვარია — კოლმეურნეობისა თუ ვიღაცის პირადი. **(სიცილი).** თუ ყალთაბანდი იპარავს, ისიც არ ფიქრობს, ვის ეკუთვნის ცხვარი.

მაგრამ რადგანაც ცხვარი ვერ დაიცვეს დანაკარგებისაგან, არ შეიძლება ეს დანაკარგები ჩამოიწეროს მხოლოდ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხარჯზე. დაე ამისათვის პასუხი აგოს ყველამ, ვისი ცხვარიც ფარაში იყო. მაშინ კოლმეურნეები მოითხოვენ ხელმძღვანელებისაგან როგორც ნამდვილმა მეურნეებმა აგონ პასუხი ცხვრის ფარებისათვის, რომლებსაც ზამთრის საძოვრებზე მიერეკებიან.

აზერბაიჯანელებს შეუძლიათ თქვან, ჩვენ რაზე გვაკრიტიკებთ, ჩვენში ცხვრის მხოლოდ 5 პროცენტი დაიხოცა, სხვა რესპუბლიკებში კი 10 და 11 პროცენტიო. ასეთი ლოგიკით თუ ვიმართლებთ თავს, შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანში ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა მხარი გაუსწორონ საქართველოსა და სომხეთს. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

არ ვარგა ასე, ამხანაგებო. მაგონდება ჩემი ბავშვობა, როცა მემამულის ცხვარს ვაძოვებდი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ თუნდაც ერთი ცხვარი დაკარგულიყოს. ეს რომ მომხდარიყო, მწყემსს, როგორც იტყვიან, ტყავს გააძრობდნენ დაკარგული ცხვრისათვის. და ცხვარი მართლაც ვერ დაიკარგებოდა. რატომ იღუპებიან ცხვრები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში? იმიტომ, რომ ბევრი ხელმძღვანელი მიეჩვია ცხვრის დაკარგვას. საჭიროა, რომ დამნაშავენი პასუხს აგებდნენ თვითეული დაკარგული ცხვრისათვის ჩვენი კანონების მთელი სისასტიკით.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების პროდუქტების იმ რაოდენობაზე, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის.

ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ საზოგადოებრივი წარმოება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმზე ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები გააკრიტიკეს იმისათვის, რომ ნელა ვითარდება საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობებში.

როგორც 1960 წლის შედეგები გვიჩვენებს, თქვენი რესპუბლიკების ყველა ხელმძღვანელმა როდი გამოიტანა დასკვნები ამ კრიტიკიდან. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა მთელ რიგ რაიონებში ნელა ვითარდება, ხოლო კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა პირად მეურნეობას ჯერ კიდევ დიდი ხვედრითი წონა აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში.

მინდა სწორად გამიგოთ. მე არ გეუბნებით, რომ შეისყიდოთ ძროხები კოლმეურნეებისაგან ან აუკრძალოთ მათ აწარმოონ ხილი, ყურძენი, ციტრუსები არა. ეს არ არის საჭირო, ჩვენ სხვა გზით უნდა ვიაროთ. ჩვენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების საშუალებით უნდა შევქმნათ იმდენი იაფი პროდუქტები, რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილებანი საზოგადოებრივი მეურნეობის ხარჯზე.

ხმები. სწორია! **(ტაში).**

ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ და კიდევაც უნდა უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წარმოების მაღალი დონე. ეს მთავარია. თუ თქვენ მეტს აწარმოებთ რძეს, ხორცსა და სხვა პროდუქტებს, მეტს მოიხმართ ამ პროდუქტებს, გაუმჯობესებთ მშრომელთა კეთილდღეობას.

გავადიდოთ ჩაის, ბამბის, ციტრუსების წარმოება

ამხანაგებო! თქვენ შესაძლებლობა გაქვთ გაადიდოთ ჩაის წარმოება. ჩვენ ცოტა ვილაპარაკეთ ციტრუსებსა და ჩაიზე. ვფიქრობ, რომ თქვენთვის გასაგებია, რა გემრიელი და რა არომატულიც უნდა იყოს ხილი, მას მაინც მესამე თავად ჭამენ. ხილი უფრო გემრიელი და არომატულია, თუ მანამდე შეჭამ კარგ პირველსა და მეორე კერძს. სწორია?

ხმები. სწორია!

აი ჩვენ ვლაპარაკობთ ახლა პირველ კერძზე და მეორე კერძზე. ვფიქრობ, სწორად გამიგებენ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, აგრონომები და მეცნიერები და არ მისაყვედურებენ იმისათვის, რომ ჩვენ ამდენ ყურადღებას ვუთმობთ მარცვლეულის წარმოების გადიდებასა და მეცხოველეობის განვითარებას.

ჩვენ ბევრ ყურადღებას ვუთმობთ ამ საკითხს იმიტომ, რომ ხალხის ინტერესები მოითხოვს გავადიდოთ რძის, ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება, როცა ჩვენში კარგად მოვაწყობთ ამ პროდუქტების წარმოებას, უფრო ადვილად გადავჭრით ხილის, ციტრუსების, ყურძნის წარმოების გადიდების ამოცანას. კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს კარგი შემოსავალი, უკეთესი კვება ექნებათ, მეტ ყურადღებას დაუთმობენ ციტრუსებსა და ჩაის პლანტაციებს. ეს ბუნებრივია.

1958 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ჩაის ფაბრიკებმა გამოიმუშავეს 33 ათასი ტონა ჩაი, 1959 წელს — 35 ათასი ტონა და 1960 წელს — 39 ათასი ტონა. ჩაის წარმოების ზრდა კარგია, კვლავაც უნდა ვიზრუნოთ ჩაის წარმოების გადიდებისათვის. ჩვენი ქვეყანა ჯერჯერობით მხოლოდ ნახევრად აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს ჩაიზე საბჭოთა წარმოების ხარჯზე. ყოველ წელს შემოგვაქვს 30 ათასამდე ტონა ჩაი. ვფიქრობ, უმთავრესად საქართველოსა და ჩაის მწარმოებელ სხვა რესპუბლიკებს შეუძლიათ სავსებით უზრუნველყონ ჩვენი მოთხოვნილება ამ პროდუქტზე.

უნდა ვთქვა, რომ ქართული, აზერბაიჯანული და რუსული ჩაის ხარისხი, რა თქმა უნდა, უკეთესია იმ ჩაის ხარისხზე, რომელიც ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან შემოგვაქვს. ეს გასაგებია. ჩვენ ჩაის მეურნეობას კარგ მეცნიერულ საფუძველზე ვაწარმოებთ. ჩვენში ჩაის წარმოება მექანიზებულია. 25 წლის წინათ მე ვიყავი აჭარის ჩაის ფაბრიკაში. იგი მომეწონა. მაგრამ ეს იყო 25 წლის წინათ — ახლა იქ ყველაფერი მექანიზებული და ავტომატიზებულია. ამრიგად, ჩვენ გვაქვს უდავო უპირატესობანი საკუთარი ჩაის წარმოებაში.

სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ დაფნის მოყვანას. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ უზრუნველყოფენ დაფნის ფოთლის წარმოებას საჭირო რაოდენობით. კერძო მესაკუთრენი — სპეკულანტები სარგებლობენ ამით და მდიდრდებიან დაფნის ფოთლის გაყიდვით. ჩვენი ქვეყანა იძულებულია საზღვარგარეთ იყიდოს დაახლოებით ათასი ტონა დაფნის ფოთოლი. უნდა გავაფართოოთ დაფნის ხის პლანტაციები. თქვენ ბევრი თავისუფალი მიწა გაქვთ, სადაც შეიძლება დაირგოს დაფნა. ეს შემოსავლიანი საქმეა კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის.

თქვენს რესპუბლიკებში ცოტა მზადდება კაკალი. როცა მე ამიერკავკასიის გზებით ვმოგზაურობდი, ვნახე, რომ ზოგიერთ გზაზე დარგულია უსარგებლო ხეები. უკეთესია დარგოთ კაკალი. რა შესანიშნავ ვარჯს იძლევა, რა საუცხოო ჩრდილი აქვს! ყოველი კაკლის ხე იძლევა რამდენიმე კილოგრამ ნაყოფს. ამასთან კაკლის მერქანი ძალიან ძვირფასია. თქვენში უნდა შრიალებდნენ კაკლის კორომები. შეგიძლიათ თქვათ, რომ არა გაქვთ კაკლის ნერგები, მაგრამ გააშენეთ სადედეები და გაყიდეთ იაფი ნერგები. მათ სიამოვნებით იყიდიან კოლმეურნეობები და კოლმეურნეები. კაკლის გაშენება ხელსაყრელია.

გერცენს „განცდილსა და ნაფიქრში“ აწერილი აქვს, როგორ აჩვევდნენ ფრანგები გლეხებს კარტოფილს და როგორ აკეთებდა ამას რუსეთის მეფე. ფრანგებმა შეიტანეს თავიანთ ქვეყანაში და გააფრცელეს მემამულეებში კარტოფილი. მათ პირობა დათქვეს, რომ მემამულეები დაბეჯავენ და დაიცავენ კარტოფილის ნათესებს. მაგრამ როცა გლეხები მოიპარავენ კარტოფილს, ამას ისინი ზერელად შეხედავენ, რომ გლეხებმა იგი მაინც მოიპარონ. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში).** ამ გზით, გერცენის სიტყვით, საფრანგეთის გლეხებში გავრცელდა კარტოფილი.

რუსეთის მეფემ სხვანაირად გააკეთა. მან უბრძანა გლეხებს დაეთესათ კარტოფილი, ხოლო გლეხები ამბობდნენ, ეს ეშმაკის ვაშლიაო, და კარტოფილის ბუნტებს აწყობდნენ. ამრიგად, არსებობს სხვადასხვა მიდგომა ამა თუ იმ მცენარის სარგებლიანობის პროპაგანდისადმი. ყოველნაირად უნდა წავახალისოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც კაკალს აშენებენ.

ამხანაგებო! სერიოზულ შეშფოთებას იწვევს აზერბაიჯანის ჩამორჩენა ბამბის წარმოებაში. აზერბაიჯანის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შვიდწლედის ორ წელიწადში სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 829 ათასი ტონა ბამბა, ფაქტიურად მიჰყიდეს 675 ათასი ტონა.

1955 წლიდან 1960 წლამდე რესპუბლიკამ სახელმწიფოს დააკლო 407 ათასი ტონა ბამბა. ამდენი ბამბიდან ჩვენს ქვეყანას შეეძლო მიეღო 985 მილიონი მეტრი ქსოვილი, 35 ათასი ტონა ბამბის ზეთი და ბევრი სხვა პროდუქტები 972 მილიონი მანეთი საერთო თანხისა ახალი ფულით.

აზერბაიჯანის ბევრი კოლმეურნეობა ბამბის დაბალ მოსავალს იღებს. 108 კოლმეურნეობაში ბამბის მოსავალმა 10 ცენტნერზე ნაკლები შეადგინა ჰექტარზე.

აზერბაიჯანისა და სომხეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა გაადიდონ ბამბის წარმოება.

მეურნეობა უნდა ვაწარმოოთ ეკონომიურად, ვისწავლოთ ანგარიში, შევამციროთ შრომის დანახარჯი პროდუქციის წარმოებაზე. სოფლის მეურნეობის ბევრი მუშაკი არ ანგარიშობს, რამდენი შრომა მოხმარდა პროდუქციას, რა ღირს ცენტნერი მარცვალი, ხორცი, რძე. ზოგიერთი ხელმძღვანელი ურიგდება ცუდ მაჩვენებლებს მეურნეობათა მუშაობაში. მათ მიიჩნიათ, რომ ყველა შემთხვევაში სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეთ.

უკეთ უნდა ვისწავლოთ სასოფლო-სამეურნეო არითმეტიკა, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ეკონომიკას. ჩვენ გვინდა არა მარტო ბევრი პროდუქცია, არამედ მაღალი ხარისხის და, რა თქმა უნდა, იაფი პროდუქცია. მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლია დავაგროვოთ მეტი სიმდიდრე და ვიაროთ წინ. **(ტაში).**

უნდა ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ რამდენი მოვიყვანეთ პროდუქცია, არამედ რამდენი დაიხარჯა შრომა ამ წარმოებაზე, როგორია თვითღირებულება. ვინც მეტ შრომას დახარჯავს პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე, ის ნაკლებ შემოსავალს მიიღებს. ამ პოზიციებიდან უნდა მივუდგეთ იმის შეფასებას, თუ როგორ წარმოებს მეურნეობა, განსაკუთრებით შრომის ახალი მეთოდების დანერგვის დროს.

საქართველოში, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში, სოფლის მეურნეობის გაძღოლან ძალიან მრავალფეროვანი პირობებია. აქ შეიქმნა თავისებური მიკროორაიონები: გვალვიანი, დიდი ტენიანობის, მძლავრი შავნიადაგიანი რაიონები, ქვიანი და თიხიანი ნიადაგის რაიონები.

საჭიროა განსაკუთრებით გულდასმით განვავითაროთ თვითეული რაიონი და გავითვალისწინოთ გამოცდილება, მეცნიერული მონაცემები, ეკონომიური მიზანშეწონილობა.

კახეთში რომ მივდიოდი, გზაში ვნახე ახალი ვენახები ბარში. იქნებ საჭიროა ვენახებს უწინარეს ყოვლისა ფერდობებზე ვაშენებდეთ. ამაზე ილაპარაკეს აქ გამოსულმა ამხანაგებმაც. ბარში დავთესოთ სიმინდი, მოვრწყათ იგი და მივიღოთ 80-100 ცენტნერი მარცვალი და 700-900 ცენტნერი სასილოსე მასა. იქ, სადაც ნიადაგის პირობები შესაძლებლობას იძლევა, მოვიყვანოთ ბრინჯის უხვი მოსავალი, შეიძლება სიმინდიც შევავიწროოთ. ბრინჯი დიდ მოსავალს იძლევა.

კოლხიდის ველის რაიონი, ბუნებრივია, უნდა გამოვიყენოთ უწინარეს ყოვლისა სუბტროპიკული კულტურებისათვის.

ყველა ეს საკითხი კარგად უნდა მოიფიქროთ, რათა ყოველი ჰექტარი მიწა ყველაზე ეფექტიანად გამოიყენოთ.

* * *

ამხანაგებო, ამ დღეებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, აგრეთვე ჩემს სახელზე მიღებულია საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის მშრომელთა ბევრი წერილი. ამ წერილებში მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები ლაპარაკობენ თავიანთი ქარხნებისა და ფაბრიკების, სამეცნიერო დაწესებულებების, თეატრების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წარმატებებზე. ბევრი გულთბილი და გულითადი სიტყვაა ნათქვამი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიმართ.

საქართველოს ზოგიერთი საწარმოს, კერძოდ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, მუშები მთხოვდნენ ესტუმრებოდი ქარხნებს, შევხვედროდი მშრომელთა კოლექტივებს. თუმცა დიდი სურვილი მაქვს წავიდე რუსთავშიც და სხვა ქალაქებშიც. მაგრამ, სამწუხაროდ, დროის ნაკლებობის გამო ამის საშუალება არა მაქვს.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით, პირადად ჩემი სახელით გულითადი მადლობა ვუძღვნა ყველა ამხანაგს, რომლებმაც წერილები გამომიგზავნეს, ვუსურვო მათ ახალი წარმატებანი შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ. **(მჭუხარე ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის სოფლის მეურნეობის მშრომელნო!

თქვენი თათბირი მუშაობას ამთავრებს. აქ გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესანიშნავი ნოვატორები და მოწინავეები, მეცნიერები. მე უკვე ვილაპარაკე ქართველი მწველავის მერი კვაჭანტირაძის გამოსვლაზე. კარგად ილაპარაკა თავისი კომპლექსური ბრიგადის გამოცდილებაზე აჟან ჯაფაროვმა აზერბაიჯანის სსრ კოლმეურნეობა „კომინტერნიდან“. ჩვენ ყველანი დიდი ინტერესით ვისმენდით სოციალისტური შრომის გმირის, სომხეთის შაუმიანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავის აშხენ ავეტისიანის გამოსვლას.

აქ გამოვიდა სომეხი მეცნიერი ა. ა. ბაიბურთიანი. მან ილაპარაკა ცხოველთა ნაწილობრივი კასტრაციის გამოცდილებაზე. როგორც ამხ. ბაიბურთიანმა განაცხადა, ეს მეთოდი უზრუნველყოფს ცხოველთა სწრაფ ზრდას, რაც საშუალებას იძლევა დამატებით მივიღოთ პირუტყვის იმავე სულადობისაგან ხორცი და მატყლი მნიშვნელოვანი რაოდენობით. თუ ცდები ასეთ კარგ შედეგებს იძლევა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა არა მარტო უნდა შეისწავლონ, არამედ ფართოდაც გამოიყენონ ეს მეთოდები. ამის შედეგად ჩვენ იმავე საკვებით და პირუტყვის იმავე სულადობით ყოველ წელიწადს გავადიდებთ ხორცისა და მატყლის წარმოებას. ამას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

საინტერესოა აზერბაიჯანელი მეცნიერის დ. მ. ჰუსეინოვის წინადადება ნავთობის წარმოშობის საზრდელი ნივთიერებებისა და კომპლექსური ორგანულ-მინერალური მიკროსასუქების შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს.

აქ ბევრი ღირსეული ადამიანია. ბუნებრივია, არ მქონდა შესაძლებლობა კეთილი სიტყვა მეთქვა თვითეულზე, ვინც აქ გამოვიდა და ვინც აქ ესწრება. ვფიქრობ, თქვენ თვითონ არ მოელოდით ჩემგან ამას, იმიტომ, რომ ეს არ ძალუძს არც ერთ კაცს — ისე ბევრი შეიკრიბეთ აქ კარგი, შესანიშნავი ადამიანები.

ჩემი შეხედულებით, თათბირმა კარგად, ნაყოფიერად ჩაიარა. ახლა, როგორც იტყვიან, უნდა დავიკაპიწოთ ხელები და შევუდგეთ საქმეს. **(ხანგრძლივი ტაში).**

თქვენ კისრულობთ დიდ, ჩვენი საერთო საქმისათვის მნიშვნელოვან ვალდებულებებს. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ეს ვალდებულებანი რეალობა გახდება და როცა შემოდგომა დადგება, ისინი გამოხატული იქნება ათასობით ტონა რძით, ხორცით, ბამბით, ჩაით, ციტრუსებით, მილიონობით ფუთი სიმინდით, ხორბლით და ბევრი სხვა რამით, რასაც თქვენი ნაყოფიერი მიწები იძლევა.

თქვენი მიწები ზოგჯერ დაძაბულ შრომას ითხოვს. აქ, ამიერკავკასიაში, ბევრი ადგილი [illegible] ნავი ბორკვებისა და მთების [illegible] წყალი არ კმარა. მაგრამ ახლა, როცა ჩვენს ქვეყანას მძლავრი ტექნიკა აქვს, როცა სოფლის მეურნეობის მშრომელთა რიგებში ათასობით აგრონომები, ზოოტექნიკოსები, განათლებული და გამოცდილი ბრიგადირები, მექანიზატორები მუშაობენ, ჩვენ ძალგვიძს დავამარცხოთ გვალვაც და სხვა სიძნელეებიც.

რა თქმა უნდა, ასეთი გამარჯვება თავისით არ მოვა. იგი მოითხოვს მატერიალურ სახსრებს, დიდ ცოდნას, დაძაბულ შრომასა და დროს. ყველა ამ ფაქტორის შეერთებას, კომუნისტურ სიმტკიცეს და გამარჯვებისადმი მისწრაფებას შეუძლია ნამდვილი სასწაულები მოახდინოს. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა დარწმუნებული არიან, რომ თქვენი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკები შეუპოვარი შრომით გააჩრავლებენ კომუნიზმის შენებელი საბჭოთა ხალხის დიდებას. **(მჭუხარე ტაში).**

ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს, რომ იგი მთლიანად უზრუნველყოფდეს საბჭოთა ხალხს ყველა საჭირო პროდუქტით.

საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებს შეუძლიათ გვიჩვენონ და კიდევაც უნდა გვიჩვენონ მეურნეობის უნარიანი, მაღალპროდუქტიული გაძღოლის მაგალითი. თქვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბევრია კარგი სპეციალისტი. თქვენი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობაში მომუშავე სპეციალური საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რიცხვი მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ სხვა ოლქსა და რესპუბლიკაში.

თქვენ იცით, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის იანვრის პლენუმზე სერიოზულად გააკრიტიკა ისინი, ვინც მხოლოდ სიტყვით ზრუნავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდისათვის, სერიოზულად და მაგრად მოსცხო ძოლაყბეებსა და თვალისმბზვეებს. ასეთები თქვენს რესპუბლიკებშიც არიან.

სიტყვები და დაპირებები როდი კმარა. ჩვენი საქმეებით უნდა გავადიდოთ ლითონის, ნავთობის, ქვანახშირის, ქიმიური პროდუქციის წარმოება, მეტი ვაშენოთ საცხოვრებელი ბინები, მეტი მივცეთ ხალხს პური, კარაქი, რძე, ხორცი, კვერცხი.

თქვენ, სამხრეთლებმა, ჩვენს საერთო სახალხო სუფრას უნდა მისცეთ სულ უფრო მეტი ისეთი საუცხოო პროდუქტები, როგორიც არის ყურძენი, ხილი, ციტრუსები, ჩაი.

ძვირფასო ამხანაგებო! ნება მიბოძეთ გისურვოთ დიდი წარმატებანი მუშაობაში. რამდენადაც თქვენ ცხოვრობთ სამხრეთ რესპუბლიკებში, მოსამზადებელი დრო ძალიან ცოტა გაქვთ. ახლა თებერვლის დამდეგია, ზოგან ჯერ კიდევ ქარიშხალი მძვინვარებს, თქვენში კი უკვე გაზაფხული გიკაკუნებთ კარს. ამ გაზაფხულს უნდა შეხვდეთ სავსებით შეიარაღებულნი ახალი გეგმებით და ახალი შეუპარეობით, მით უმეტეს, რომ ეს არის შვიდწლედის მესამე წლის გაზაფხული, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ, გააჩაღებთ რა სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად, თქვენ უკვე წელს, ამ შემოდგომაზე მოგვცემთ სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო მეტ პროდუქტებს, შეტანთ თქვენს წვლილს ჩვენს საერთო მუშაობაში კომუნიზმის ასაშენებლად! **(მჭუხარე ტაში).**

ჩვენი დიადი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ, ძვირფასო ამხანაგებო! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ლ. ი. ბრეჟნევი კონაკრიში

რაბათი, 11 თებერვალი. (საკდესი). გუშინ 18 საათზე მოსკოოს მემკვიდრე პრინცმა მულაი ხასანმა საუზზე გამართა თავის სუფისის რეზიდენციაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პატივსაცემად.

ლ. ი. ბრეჟნევმა და მემკვიდრე პრინცმა მულაი ხასანმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები მთელ რიგ საკითხებზე.

საუზმემ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

რაბათი, 11 თებერვალი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირნი „ილ-18“ თვითმფრინავით გვინეის რესპუბლიკაში გაფრინდნენ.

რაბათ-სალეს აეროდრომზე ლ. ი. ბრეჟნევი გაეცილეს მაროკოს მეფემ მოჰამედ V და მემკვიდრე პრინცმა მულაი .ხასანმა.

კონაკარი, 11 თებერვალი. (საკდესი). დღეს დღის მეორე ნახევარში აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ სეკუ ტურე, საფიფულაი დიალო, გვინეელი მინისტრები, სსრ კავშირის ელჩი.

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო

ქალაქ სუმგაითის მშრომელთა დელეგაცია

11 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო აზერბაიჯანის სსრ ქალაქ სუმგაითის მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაცია.

დარბაზობაზე იყვნენ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის სუმგაითის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ალიევი, სუმგაითის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. აბუნდოვი, კომკავშირის სუმგაითის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ქერიმოვი, ამიერკავკასიის მრეწველობის ტრესტის კალატოზთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ოსმანოვი, მილსაგლინავი ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. გრიშაანი, ამავე ქარხნის მომთუთიებელი, სოციალისტური შრომის გმირი ზ. ჰასანოვა, მეფოლადე ვ. ბოლდირევი, მეაპარატე ა. დოდუევა და სხვები.

ესწრებოდნენ აგრეთვე ქალაქ რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლები — პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები შ. თიმბერიძე, ნ. ებრალიძე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ვიშნიაკოვი.

რუსთავისა და სუმგაითის მეტალურგებსა და მშენებლებს მჭიდრო მეგობრობა აკავშირებთ. ტრადიციული გახდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ამ ორი ახალგაზრდა სამრეწველო ცენტრის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ და ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, სუმგაითელებმა და რუსთაველებმა უამბეს ვ. პ. მჟავანაძეს 1960 წლის შეჯიბრების შედეგებზე, შვიდწლედის მესამე წლისათვის ნაკისრ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებზე, იმაზე, თუ როგორ ჩაღდება რუსთავისა და სუმგაითის შეჯიბრება იმისათვის, რომ მოიპოვონ კომუნისტური შრომის, სანიმუშო წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქების წოდება.

ვ. პ. მჟავანაძემ უსურვა აზერბაიჯანელ მეგობრებს, რუსთავის მშრომელებს დიდი წარმატებანი სოციალისტურ შეჯიბრებაში, შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლაში.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს პ. ვ. კოვანოვმა და გ. ი. ქადაბიძემ. (საკდესი).

სკკპ დელეგაცია ალგანეთში

11 თებერვალს მოსკოვიდან ტირანაში ალბანეთის შრომის პარტიის IV ყრილობაზე გაფრინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ამხ. პ. ნ. პოსპელოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ი. ვ. ანდროპოვი და სკკპ ცენტრალური საგარეო კომისიის წევრი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ალბანეთში ამხ. ი. ვ. შიკინი.

ჩემპიონატის ალამი დაუშვეს

მოსკოვი. 11 თებერვალი. (ტელეფონით). დღეს დილით დედაქალაქის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო ჩვენი ქვეყნის XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში გადადებულ პარტიების დამთავრება.

გროსმაისტერმა ბ. სპასკიმ ანალიზის შემდეგ ზედმეტად ჩათვალა ბრძოლის გაგრძელება ლ. შტეინთან გადადებულ პარტიაში და დანებდა მოწინააღმდეგეს. ასევე ბრძოლის გაგრძელებლად ა. ჩერეპკოვმა თავი დამარცხებულად ცნო დ. ბრონშტეინთან გადადებულ პარტიაში. ს. ფურმანმა მოუგო ე. გუფელდს. ვ. სმისლოვმა. ხასინის, ვ. სიმაგინ - ი. ბოლესლავსკისა და ა. ბანიკ - მ. ტაიმანოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, შეიკრა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ცხრილის უკანასკნელი უჯრედები — საბოლოოდ გაწყდა როგორც საპრიზო, ისე მომდევნო ადგილები, გამოვლინდა უძლიერესთა ოთხეული, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატის საზონათაშორისო ტურნირში.

როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მეორედ და ოქროს მედალი მოიპოვა გროსმაისტერმა **ტიგრან პეტროსიანმა** (მოსკოვი),